# დროება

**ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი**

№ 242 შაბათი, 31 ოქტომბერი 1909 წ. № 242

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., ზხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ოთხი საათის შემდეგ მეტი აღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ... კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ... თი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები ... და მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ... ხება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მლთხზოებები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან საღამოს 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЕБА»

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

**სურათებიანი დამატება**

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ ოქტომბრიდან წლის ბოლომდე 3 მან., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური —— დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.

ტფილისის დიდუბის ეკკლესიის მღვდელი **იროდიონ გურგენიძე** და მისი ასულნი **ნინო ციბალოვისა, თამრო გურგენიძე** და მღვდელი **გიორგი ციბალოვი** გულითად მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ: პირველი—საყვარელ შვილის, მეორენი—ძვირფას ძმის და მესამე—ცოლის ძმის

**ნიკოლოზ იროდიონის ძე გურგენიძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდები დიდუბეში საკუთარ სახლში, დილით ათ საათზე და საღამოთი 6 ს. წირვა, ანდერძი და დასაფლავება დიდუბის ეკკლესიაში პირველ ნოემბერს კვირა დღეს. (1—523—1)

წარმოდგენა № 12. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 12.

**კვირას, 1 ნოემბერს, 1909 წელს.**

ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება: ბ-ნ **სვ. სვიმონიძის მონაწილეობით ისტორიული პიესა ალ. ყაზბეგისა.**

**კონსტანტინე ბატონიშვილი**

**(წამება ქეთევან დედოფლისა)**

დრამა 5 მოქმედებად.

პიესისათვის იკერება ახალი ტანისამოსი, იხატება დეკორაციები.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ტასო აბაშიძე, ბ. ნებიერიძისა, მ. ქილარჯიშვილი; ბ-ნნი ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარამე, ი. ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი-ხაშმელი, ვ. მატარაძე, შ. საფაროვი, გრიშაშვილი, მურვანიშვილი.

**ადგილების ფასი:** ლოჟები 10 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე, პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 კ.-მდე, გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.**

მზადდება წარმოსად. „კოჩრიანი ტოროლა", „გიორგი მესამე", „ლევან ბატონიშვილი".

მორიგი რეჟისორი **კ. მესხი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

**ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი**

კვირას, 1 ნოემბერს, აღსანიშნავად იმ გარემოებისა, რომ წელს შესრულდება 30 წელიწადი მას შემდეგ, რაც ა. ცაგარლის მიერ დაიწერა პიესა **„რაც გინახავს, ველარ ნახავ".**

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველი სექცია **ქ-ნ ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის** მონაწილეობით გამართავს **საიუბილეო** წარმოდგენას წარმოდგენილი იქნება:

**„რაც გინახავს, ველარ ნახავ"**

კომ. 3 მოქმედებად ა. ცაგარლისა.

წარმოდგენაში მონაწ. მიიღებს სექციასთან არსებული სცენის მოყვარეთა მთელი დასი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

**ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდე.**

ანონსი: შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება ხუთშაბათ საღამოს, 12 ნოემბერს. მზადდება წარმოსადგენად; „ღალატი" სუმბათაშვილისა.

დამეჯითებითა ვთხოვთ საზოგადოებას, სხვის ადგილზე ნურავინ დასხდებიან. პატარა ბავშვების თეატრში შეშვება სრულიად აკრძალულია. წესიერების დაცვაში, იმედია თვით საზოგადოება დაგვეხმარება.

(3—2) რეჟისორი **შათირიშვილი.** ადმინისტრატორი **სვირელი.**

ქართული წარ **ავლაბრის თეატრი** მოდგენა № 6

**შაბათს, 31 ოქტომბერს, 1909 წ.**

ქართულ სცენის მოყვარეთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება

**გაცარცული ფოსტა**

დრამა 4 მოქმ. და 7 სურდათ. თარგ. ვ. აბაშიძისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი რჩეულოვი, მარგველაშვილი, კავთელი; ბ-ნნი სალაყაია, ჯიბლაძე, ქიზიყელი, გელიკურაშვილი, გომელაური, ბალაშვილი, ფირუმიანი, რუსიშვილი, მაისურაძე, მირველოვი, გოჩიტაშვილი და სხვ.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ✦ ადგილების ფასები 10 კ.—დან 80 კ.—მდე.**

უმორჩილესადა ვთხოვთ საზოგადოებას, რომ თვით დაგვეხმაროს წესიერების დაცვაში, სხვის ადგილზე ნურვინ დაჯდება, პატარა ბავშვებს თეატრში ნუ შემოიყვანენ და თეატრში სტვენა და აურ-ზაური აკრძალულია, წინააღმდეგ შემთხვევაში თეატრიდან გაყვანილი იქნება.

დირექცია **ამო-ხარაზიანი.**

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

**30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.**

ქსენიას ქუჩა, სახლი № 7, „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ბალარჯიშვილი ვ. დ.** შინ. და ბავშვ. ყოველ-დღე, გარდა კვირისა 2—3 ს.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; კვ. გარდა 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ხუთშ., და შაბ. 1—2 ს.

**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2½ ს.

**ფირალოვი რ. ზ.** ქირურ. ყოველ დღე 11—12 საათ.

**პაპოვი ზ. ა.** ყურ,, ყელის და ცხვირ. ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2½ ს.

**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოვ. დღ. 9—10 ს.

**სოზოლევსკი გ. ვ.** ქირურ. ყოვ. დღ. 9—11 საათამ.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკ. საბებიო ყოველ დღე 1—2 ს.

**ფედოროვი ე. გ.** მიკრ., ქირ.-ბაქტ. გამოკვლევა. (100—ნ.—26)

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ს. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშ., და შაბ. 2—2½ ს. თვალისა.

**ზ. ა. პაპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—194)

ამით ვაუწყებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ხელში გადასული

**რუსული აბანო**

**აბოევისეული**

რიყის ქ., საკომერციო სასწავლებლის პირდაპირ გაიხსნა. არის ნომრები ელექტრონის განათებით. არის საერთო აბანოები. კეთილ შობილთათვის და ჩვეულებრივი, ქალებისა და კაცებისა, აგრეთვე სალდათებისათვის. მსურველთ შეუძლიანთ იქონიონ აბონიმენტები დაკლებულის ფასით.

აბანო მოქმედებს დილის 6-დან ღამის 12 საათამდე. ტელეფონი № 718. (5—522—1)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმი ლ. ნ. ოჯანჯანოვი**

ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე.) (100—ზალ.—51)

**სამკურნალო**

**ექიმთა საზოგადოებისა**

მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

**ავადმყოფთა მიღება:**

**მ. ალაჯანოვი**—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.

**ნ. ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.

**ვ. ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

**ი. ეგიაზაროვი**—ნერ. და შინ. 11—12 ს.

**მ. კიმონტი**—ქირურგ, ავად. 11—12 ს.

**მ. მაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ლ. მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.

**ა. კალმიკოვა-ვნუკოვა**— ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტერ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ზალ.—49)

**ქუთაისში**

კბილის ექიმის **დ. ს. რაჟინაშვილის** კაბინეტთან **გაიხსნა**

**სამკურნალო**

პირის და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—ნ.—33)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსა **მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (0—ნ.—96)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** ქუთაისში **კ. თ. ტყეშელაშვილი**

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (ძ—კგ.—93)

**ექიმი ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—42)

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა, N 25.

**ექიმი ვ. ლამბაშიძე**

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდორნის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—285)

**ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი**

არჩენს სპეც. ქირურ., სამ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ. ტრიპერი, სიფ. შედეგი, ბუა ილი და სხვ.) დილ. 9—11 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. ძეგლ., მონუმენტის მეზ. N 5, ს. მაფრანოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ზალ.—37)

**ექიმი ვასილ წერეთელი**

**ქუთაისში**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—38)

**„ტფილისის სობრანიე"**

შაბათს, 31 ოქტომბერს, 1909 წ.

**საოჯახო საღამო**

საღამოზე დაუკრავს საზანდარი.

**ანონსი:** შემდეგი საოჯახო საღამო სამშაბათს, 3 ნოემბერს. (1—521—1)

**კვირას, 1 ნოემბერს,**

გამოვა ყოველ-კვირეული სალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეცნიერო ჟურნალი

**„საქართველოს მოამბე"**

ხელის მოწერა: წლის დამლევამდის 75 კაპ. ხელის მოწერა მიიღება წ.-კითხ. საზ. მაღაზიაში ვ. ავალიშვილთან. წერილებისა და ფულის ადრესი: Тифлисъ, гостинница „Мухрани", головин. д. Манташева. Семену Васильевичу Кипіани.

(2—1) რედაქ.-გამომცემ. **სვ. ყიფიანი.**


## დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

30 ოქტომბერი

### სპარსეთი

**თავრიზი.** ხმა დადის, გენერალ-გუბერნატორი სამსახურიდან გავა და თავრიზს მიატოვებსო. სათარხანის ფიდაებმა განაცხადეს, თუ მთავრობა გენერალ-გუბერნატორს გადააყენებინებთო.

**თეირანი.** განზრახულია მეჯლისი მომავალ კვირაში გახსნან. მთავრობა სცდილობს ბაქოელ ნავთის მრეწველის მუსა ნაგიევისაგან სესხი აიღოს. სამხედრო სამინისტრო იმუშავებს კანონ-პროექტს ჟანდარმერიის ორგანიზაციის შესახებ. განზრახულია ინსტრუქტორების მოწვევა.

**არდებილი.** ყარადაღელების და შახსევანების მეთაურებმა, გაიგეს თუ არა არდებილში რუსის ჯარის წამოსვლის ამბავი, გადასწყვიტეს, დასტოვონ ქალაქში მათ მიერ დანიშნული გუბერნატორი ჰასსან-ხანი და თითონ კი ქალაქს გარედ გამაგრდნენ. რახიმ-ხანი დაჟინებით თხოულობს იმათ გაცემას, რომლებმაც რუსეთის საკონსულოს შეაფარეს თავი. ამასთან რახიმ-ხანი რუსეთის კონსულს აოწმუნებს, რუსეთის მთავრობის კეთილის-მდობელი ვარო. არდებილის მცხოვრებლები სიხარულით ეგებებიან რუსის ჯარის გამგზავრებას არდებილში. მცხოვრებლების უმრავლესობას სურვილს აცხადებს, რუსეთის ქვეშევრდომობას მივიღებთო. რუსეთის კონსულმა არდებილში მიმავალ ჯარს გაუგზავნა საექიმო ნივთები. არდებილში მიმავალ გზას ყაზახები იცავენ.

### კრიტი.

**პარიზი.** საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა პიშონმა მიიღო ოსმალეთის ელჩი. ოსმალეთის ელჩმა პიშონს კრიტეს შესახებ ნოტა გადასცა.

**ვენა.** „კორესპონდენტ-ბიუროს" სტამბოლიდან დეპეშით ატყობინებენ: ხმა დადის, ამ მოკლე ხანში სამინისტროში დიდი ცვლილება მოხდებაო. ამბობენ სამინისტროდან ის მინისტრები გავლენ, რომლებიც ახალგაზრდა ოსმალთა პარტიის წევრებად ითვლებიანო.

**პარიზი.** გაზეთი „ტანი" ოსმალეთის მთავრობის კრიტეს შესახებ ნოტაზე სწერს: როგორც სჩანს, ოსმალეთის მთავრობას სურს, საბერძნეთს ალარაფერი ეკითხებოდეს კრიტეს საქმეებში. კრიტეს მფარველმა-სახელმწიფოებმა კრიტეს გუბერნატორად საბერძნეთის მეფის შვილი დანიშნეს, კუნძულზე ბერძენი აფიცრები არიან და ამის გამო მფარველ-სახელმწიფოებს არ შეუძლიანთ შეიწყნარონ ოსმალეთის მთავრობის მოთხოვნები. საკითხი უკომპრომისოდ ვერ გადაწყდებაო.

### რუსეთი

**ნიკოლაევი.** ვოდოპოის ახლო უცნობებმა გაცარცვეს საქონლის მატარებელი. გაიტაცეს 3,000 მანეთის საქონელი. დააპატიმრეს ორი მცარცველი.

**ოდესსა.** უნივერსიტეტის პროპესორთა საბჭომ დაადგინა ცილისწამებისთვის სამართალში მისცეს სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ნიკოლსკი. ნიკოლსკიმ გაზეთებში დაბეჭდა, ოდესის უნივერსიტეტში ებრაელებს ქრთამით იღებენო.

**ასტრახანი.** გემ „ჟენია"-ზე ქვაბი აფეთქდა. მოკლულია კაპიტანი, მაშინისტი, მაშინისტის თანაშემწე და მატროსი, მძიმედ დაშავდნენ მატროსი და მესაჭე.

**მოსკოვი.** დამცველმა პოლიციამ სოკოლნიჩის ქუჩაზე აღმოაჩინა სოციალ-დემოკრატების საიდუმლო სტამბა. დაპატიმრებულ ქალის სადგომში პოლიციამ იპოვნა კარგა ბლომა შრიფტი, ქაღალდი, პროკლამაციები, მთავრობის სხვა-და-სხვა დაწესებულებების ბეჭდები, სულ 200, საპ სპორტო ბლანკები, პატრონები და სხვა. დააპატიმრეს ერთი ქალი და ერთი კაცი.

**ნოვოროსიისკი.** დააპატიმრეს 2 კაცი. მათ სხვებთან ერთად ბრალდებათ ვოლჟსკო-კამსკი ბანკის განყოფილების გაცარცვა.

**პეტერბურგი.** მთავრმა სამხედრო სასამართლომ განიხილა სკიბენკოს (უნივერსიტეტი აქვს გათავებული) საკასაციო საჩივარი. ბრალდებოდა ანარქისტ-კომუნისტების სახელით პროფესორ რეუნენკამფთან წერილის მიწერა: რეუნენკამფს 600 მანეთს სთხოვდენ. ამის გამო ოდესსის სამხედრო სასამართლომ სკიბენკოს ოთხი წლით კატორგა გადაუწყვიტა. მთავარმა სამხედრო სასამართლომ დაარღვია ოდესსის სამხედრო სასამართლოს განაჩენი და საქმე ხელმეორედ განსახილველად გადასცა.

**ოდესსა.** სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ბროდსკი სამართალში მისცეს. ბრალდება სხვისი სახლის მითვისება.

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ავად გახდა 10, გარდაიცვალა 4, ავად არის 157 კაცი.

**„დროების" ხვალინდელ სურათებიან დამატების შინაარსი: „უსიამოვნო წამი", მოთხრობა პოლ მარგერიტისა", თარგმ. ა. ა—შვილისა; „მამა" (დასასრული), შალვა დადიანისა; სურათები: „პირველი მწუხარება", — ქანდაკება; თავ. ა. მ. ერისთავი, ახალი წევრი სახელმწიფო საბჭოსი, და იაპონიის სახელმწიფო მოღვაწე, ამას წინად ხარბინში მოკლული, თავადი იტო თავის ოჯახობით.**

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **სომხების დასახლება.** ზოგმა შეიძლება არც-კი იცის, რომ ბორჩალოში ზაალ დავითის ძის ბარათაშვილის დიდი მამული არამიანცს დარჩა. სადგურ ახტალიდან ბარათაშვილის მამულზე გადის ყარსის რკინის გზა. ეს მამული 35,000 დესეტინამდეა. ერთ ადგილას 500 დესეტინა კაკლის ტყეა და, როგორც მცოდნე პირებმა გადმოგვცეს, მარტო ამ კაკლნარში ფრანგთა ერთ სავაჭრო ფირმა 2 მილიონ ფრანკს იძლეოდა თურმე. ეს ადგილი რამდენიმე ათი ათასში დარჩა არამიანცს. როგორც ამბობენ, ამ ადგილზე განზრახულია დაასახლონ ერევნის გუბერნიიდან გადმოსული სომხები.

✦ **დეკანოზ ლამბაშიძის დაჯარიმება.** ყვირილიდან გვატყობინებენ, რომ დეკანოზი დავით ლამბაშიძე, ქუთაისის გენ.-გუბერნატორის განკარგულებით, დაუჯარიმებიათ 500 მანეთით. ვადად სამი დღე მიუციათ. მერე აუწერიათ მოძრავი ქონება დეკანოზისა და „მწყემსის" რედაქციისა და ჩამოურთმევიათ ხელწერილი ყვირილიდან წაუსვლელობისა. 30 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, შესდგომიან უკვე აწერილ ქონების გაზიდვას საბაზრო მოედანზე გასასყიდად.

✦ **არქეოლოგიურ საზოგადოების კრება.** დღეს, 31 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, ტფ. საჯარო წიგნთ-საცავის დარბაზში მოხდება სხდომა მოსკოვის საარქეოლოგო საზოგადოების კავკასიის განყოფილებისა. სხდომა მოისმენს მოხსენებებს ვ. ა. სკინდერისა და ა. ნ. კაზნაკოვისას ძველ ნაშთების შესახებ ჩრდილოეთ კავკასიასა და ჩერნომორის გუბერნიაში. სხდომას გარეშეებსაც შეუძლიანთ დაესწრნენ.

✦ **ჟორდანიას თხოვნის არ შეწყნარება.** როგორც ვიცით, თ. ჟორდანიამ აცნობა სინოდს, ალავერდის ეპისკოპოსობაზე თანახმა ვარ, თუ პენსიას არ მომისპობთო. სინოდს უარი შემოუთვლია პენსიაზე.

✦ **ახალი გაზეთები.** გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრეს ახალ გაზეთების გამოცემის შესახებ: ზ. მ. საფაროვმა და დ. ... დუნელმა. პირველი ქართულ გაზე-

თის—„ხალხის"—გამოცემის ნებართვას თხოულობს, მეორე—რუსულისას.

✦ **ქალაქის სესხის განაღდება.** 29 ოქტომბერს მოხდა სხდომა ტფ. ქალაქის გამგეობისა. სხდომას დაესწრო საზღვარ-გარეთელ კაპიტალისტების წარმომადგენელი პოტოცკი. უნდა შეემუშავებინათ პირობები ქალაქის მეოთხე სესხის ($3^1/_2$ მილიონ მან.) განაღდების შესახებ. გამგეობამ შეიმუშავა კიდეც ეს პირობები, მაგრამ პოტოცკიმ საჭირო ბე, 10,000 მან., არ წარადგინა. ამის გამო მასთან მოლაპარაკება სესხის განაღდების შესახებ შესწყდა. გამგეობას იმედი აქვს, რომ სესხს ტფილისის ბანკებისავე დახმარებით გაანაღდებს. ერთმა საკრედიტო დაწესებულების წარმომადგენელმა კიდეც შეიტანა განცხადება გამგეობაში სესხის კარგა დიდი ნაწილის განაღდების შესახებ.

✦ **მაჰხსევნელები.** „კასპის" სიტყვით, სპარსეთთან მოსაზღვრე ლენქორანის და ჯავათის რაიონებში მაჰხსევნელები გაჩენილან, სულ 500 კაცი. ყველანი სალდათის თოფებით ყოფილან შეიარაღებულნი და გამვლელ-გამომვლელთ სცარცვავენ თურმე.

✦ **ვერის სახალხო თეატრი.** დღეს, 31 ოქტომბერს, ვერის სახალხო აუდიტორიაში სცენის მოყვარენი წარმოადგენენ გუნიას დრამას „და-ძმას". წარმოდგენა საღამოს 8 საათზე დაიწყება.

✦ **წერა-კითხვის საზოგადოების კრება.** 29 ოქტომბერს სხდომა ჰქონდა ქ. შ. წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მთავარ გამგეობას. გამგეობამ რამდენიმე წვრილმანი საქმე განიხილა. საზოგადო კრება გამგეობამ დანიშნა 29 ნოემბრისათვის.

✦ **მასწავლებლის ადგილი.** სოფელ ალაგირის ქართულ სკოლაში განთავისუფლებულა მასწავლებლის ადგილი. მსურველთ უნდა მიმართონ წერა-კითხვის საზოგადოების კავკავის განყოფილებას.

✦ **გლეხების ჩივილი.** „რეჩ"-ში ვკითხულობთ: „სანამ სახელმწიფო სათათბირო განიხილავდეს იმ კანონ-პროექტს, რომლითაც კავკასიაში საბოლოოდ უნდა მოისპოს ბატონ-ყმობის ნაშთები, კავკასიის გლეხკაცობა ყოველნაირ დამცირებას და შევიწროებას ითმენს მემამულეებისაგან. 23 ოქტომბერს დეპუტატმა ჩხეიძემ გორის მაზრიდან შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო: „ეს ხუთი წელიწადია, რაც სანადელო მიწებში ღალას აღარ ვიხდით. მაგრამ, მიუხედავად ამისა, გუგო სავანელი შეიარაღებულის დარაჯებით გვაიძულებს, სანადელო მიწების ღალა გადავიხადოთ. დააპატიმრეს 12 კაცი. გვიშველეთ რამე. ისეც მოუსავლობაა წლეულს და ეს სულ ბოლოს მოგვიღებს."

✦ 29 ოქტომბერს არშაკუნოვის ქუჩაზე მცხოვრებმა, 19 წლის ყმაწვილმა ვლადიმერ სიბისმა, მთვრალმა, სამზარეულოს დანით თავი დაიჭრა. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

# მოწერილი ამბები

**თიანეთი.** როგორც ვიცით, ამ ზაფხულს აქ ინსტრუქტორი იყო და ხალხს აჩვენა კარაქისა და ერბოს ახალი სადღვები მანქანა. აგერ მეხუთე თვეა მას შემდეგ და ერთს გლეხსაც კი არ შეუძენია ეს მანქანა. როდესაც მოვიდნენ, დიდის სიხარულით შეხვდნენ. სანამდის ნახავდნენ, ყელში სული არ უდგებოდათ. რომ ნახეს, ძალიან მოეწონათ, ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ—საერთოდ ვიყიდოთ და ვისარგებლოთო. ეხლა აღარც კი ახსოვთ, ვითომ სიზმარში უნახავთ. ასე უნაყოფოთ ჩაიარა ამ საქმემ.

სულ სხვა ამბავი მოხდა შალის საქსოვ მანქანაზე. ზოგიერთ ქალებს ეხლა სახლში უდგიათ ეს მანქანა და ნელ-ნელა თავიანთვის ჰქსოვენ.

**ჭყურთაველი.**

—

**სოხა.** აქ დიდი წვიმები და წყალდიდობა იყო. 23 ოქტომბერს რომ დაიწყო წვიმა, დღე ნახევრის განმავლობაში არ გადაუღია. წყალი ყველგან გზებზე გადავიდა და გავლა აღარ შეეძლო ხალხს. ზოგს ზარალი მოუვიდა. პატარა ხიდები და ბოგირები ყველგან წაიღო. ასეთი წყალდიდობა სოხაში პირველია.

**გ.**

—

**ს. ერკეთი** (ოზურგეთის მაზრა). წარსულ აგვისტოს პირველ რიცხვებში ჩოხატაურის ბოქაულმა წინადადება მისცა ერკეთის საზოგადოებას, დაედგინა განაჩენი და შესდგომოდა ერკეთიდან ბახმაროზე გზის გაყვანას. რადგან საზოგადოებამ დაბეჯითებით არ იცოდა, საიდან უნდა დაეწყო ბახმაროზე მოკვეთილ გზის გაყვანა, ამიტომ განაჩენის დადგენაზე შეთანხმება ვერ მოხდა და ამის შემდეგ საზოგადოება ძალაუნებურად გაიწვევს გზის სამუშაოდ ბასიადეთის საზოგადოებაში.

ბახმარო მთელ კავკასიაში საუკეთესო საავგარაკო ადგილია. მას მნიშვნელობა აქვს მთელ გურიისთვის. ჯერ ისევ 1901 წელს აღიძრა ბახმაროზე გზის გაყვანის საჭიროება. ყოფილმა მაზრის უფროსმა ლაზარენკომ დანიშნა კომისია, რომელმაც საჭიროდ დაინახა გზის გაყვანა ერკეთის საზოგადოების სოფელ ნაბეღლავიდან. ინჟინრების შემოწმებით, ვაკის ჯვრიდან გზის გაყვანა შეუძლებელია, ასკანიდან მეტად დაშორებულია, სოფელ მენიენიდან ბახმარომდინ გამოვიდა სიშორე 26 ვერსი. ისიც გზა კლდეებზე უნდა გავიდეს და დაშორდეს ყველა სოფელს. ეს ადგილი საშიშოა ავაზაკების მხრივაც. ხოლო ნაბეღლავიდან (იგივე თავპანტა) ვიდრე ბახმარომდე გამოვიდა მხოლოდ რვა (8) ვერსი. ამ პროექტით გზა გაივლის სოფლიდან სოფელზე, მშრალი იქნება, სწორი და არც საშიში ავაზაკებისაგან. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ოზურგეთიდან სოფ. ხიდისთავით, დაბა ჩოხატაურიდან ერკეთით ვიდრე სოფ. ნაბეღლავამდე და ქვაბღამდე გზა უკვე გაყვანილია. (თუმც აქა-იქ შეკეთებას მოითხოვს) ეს გზა გადის ს. ნაბეღლავიდან ს. ქვაბღაში, ზოტში, ქ. ახალციხეში, აბასთუმანში და ზემო აჭარაში.

იმავე 1901 წელს, როცა ამ გზებზე დავა იყო, ოზურგეთის ზოგიერთი მცხოვრები ამბობდა, რომ ერკეთიდან ბახმაროს გზა მეტად დაშორებული იქნება ოზურგეთისთვისაო. ეს მართალი არ არის. კომისიის შემოწმებით, არა თუ შორს, სამი ვერსით ნაკლებიც იქნება. ეს გზა ბევრით იქნება გამოსადეგი. ამ გზით გამოიტანენ ყუარებელ და ძვირფას ხე-ტყის მასალას, სხვა და სხვა სოფლის ნაწარმოებს. აქვეა მჟავე წყლები და აბანოები. ს. ნაბეღლავში და ზოტში არის რკინის წყალი.

ამ მიმართულებაზე 1901 წელს წერილებიც დაიბეჭდა „კავკაზსა" და „კვალში". ამავე დროში შეუდგნენ სამტრედ გზის გაყვანას სოფ. ნაბეღლავიდან. მაგრამ მაშინ დროება შეიცვალა და დაიწყო მოძრაობა, რის გამო შეწყვეტილ იქმნა გზის მუშაობა. ეხლა თვით ხალხიც დიდად მოწადინებულია გზის გაკეთებას, მაგრამ სალაპარაკოა ის, თუ რომელი მიმართულება უნდა აირჩეს. ყველა სოფელი თავის ინტერესებს იცავს, ყველას სხვა და სხვა გეგმა აქვს შემუშავებული. ამ საკითხის გადასაწყვეტად საჭიროდ მიმაჩნია ვითხოვოთ სათანადო მთავრობასთან, რომ დაინიშნოს ხელ-ახალი კომისია.

**ს. ჯინჭარაძე.**

# ვერაგი კაცთ-მოყვარეობა

სახელმწიფო სათათბიროში ამას წინად სჯა-ბაასი იყო ევრედ-წოდებულ პირობით სასჯელის შესახებ. დამნაშავეს სასამართლო გადაუწყვეტს სასჯელს, ხოლო, ახალ კანონის ძალით, სისრულეში არ მოიყვანს, დასჯის, განსაზღვრულ ვადას დაუდებს დამნაშავეს. თუ ამ დროს განმავლობაში თავისუფალი დამნაშავე ცუდს არასფერს ჩაიდენს, კეთილ ზნეობას დაიცავს,—სასჯელი სრულებით ეპატიება. წინააღმდეგ შემთხვევაში კი დაისჯება.

დღეს მზესავით ნათელ ჭეშმარიტებადაა აღიარებული, რომ ყველა ბოროტ-მოქმედი, თვითეული დამნაშავე საზოგადო წყობილების მსხვერპლია, თვით ჩვენ მიერაა შექმნილი, ასე რომ, როცა სახელმწიფო სასამართლოების საშუალებით დამნაშავეს სჯის, სასტიკად შურს იძიებს იმ ადამიანზე, რომელიც თვითონ მან შექმნა. ბოროტ-მოქმედნი უმრავლესად ღარიბთა წრიდან გამოდიან, სიღარიბე კი სახელმწიფო წყობილების, მდიდართა მიერ თავის საკუთრების დაცვის პირმშო შვილია.

სრულებით გასაკვირველი არ არის, როცა სახელმწიფო დამნაშავის დასჯას მოითხოვს. ეს სისასტიკე მას ბუნებით შეეფერება, მისი სული და გულია. სრულებით ეცვლება სახე ამ საგანს, როცა დამნაშავის დასჯას მოითხოვს სასულიერო პირი, ვითომ და ქრისტიანობის მქადაგებელი და წმინდა ზნეობის დამცველი გვამი. უმაღლესმა სასულიერო პირმა გამოაცხადა სათათბიროში, დამნაშავე უნდა დაისაჯოს, ციხეში უნდა დამწყვდეულ იქმნას, რათა ამ გვარად მოწყვეტილ იქმნას იმ წრესა და ამხანაგებს, რომელნიც მაზე ცუდად მოქმედებენ და რყვნიანო.

უმაღლესმა სასულიერო პირმა აქ ფარისევლური გულ-მტკივნეულობა გამოიჩინა ვითომ და დამნაშავე დაიცვა ბოროტ ამხანაგებისაგან და კრინტიც არ დასძრა, რასაკვირველია, იმის შესახებ, რომ ციხე, სატუსაღო ყოველნაირ ბოროტების ნამდვილი ბუდე, უებარი სკოლაა, რომ ის ადამიანი, რომელიც შეიძლება პირველად წაბორძიკდა ცხოვრების გზაზე, პირველად ჩაიდინა რაიმე სათაკილო საქმე, როცა სატუსაღოშია დამწყვდეული, ბევრ უკვე კარგა ხნის ბოროტ-მოქმედ და გარყვნილ ამხანაგების წრეში ტრიალებს, რომელნიც მეტად ცუდად მოქმედებენ მაზე.

უმაღლეს სამღვდელო პირს რომ ეთქვა, დასაჯეთ დამნაშავე და თავიდან მოგვაშორეთ, ნამდვილ თავის გულის ნადებს გამოსთქვამდა, რადგან მყუდროება, მშვიდობიანი ცხოვრება სამღვდელოების უპირველესი და უღრმესი გულის წადილია.

საოცარი არ არის, რომ ამგვარ თავის კერძოობას, ამ უზომო ეგოისტობას დღეს ქრისტიანობის სახელი აკერია!

საოცარი არ არის, როცა მზის შარავანდედის შუქში მონავარდე არწივის მაგიერობას დაიჩემებს ის ჩრჩილი ან მღილი, რომელიც იმის სხეულს ჩაფრენია საწუწნელად და მაღლიდან გვამცნევს, ჭეშმარიტების შუქის მწყურვალე არწივი მე ვარო?

**ილია ნაკაშიძე.**

# თეატრი და ხელოვნება

**ილიას საღამო ბათუმში.** 27 ოქტომბერს აქ გაიმართა ილია ჭავჭავაძის საღამო. პირველად პატარა მოსწავლეებმა სთქვეს ილიას რჩეული ლექსები, შემდეგ ილია ფერაძემ წაიკითხა რეფერატი გაარჩია „კაცია ადამიანი", „გლახის ნაამბობი" და „ოთარაანთ ქვრივი".

მერე დასდგეს აზიანის კომედია „გაცრუებული იმედი.

ბოლოს სცენაზე გამოვიდა ქულაჯებში გამოწყობილი მომღერალთა გუნდი. გუნდში იყო 5-7 მეგრულ-იმერულად ჩაცმული მანდილოსანი. ლოტბარობდა ბ-ნი კალანდაძე იმღერეს „რერო", „შენ აზრუმის ცისკარი ხარ", „სამშობლოს" „ვახტანგ მეფე და გოგონა". განსაკუთრებით კარგად შეასრულეს „ვახტანგ მეფე", რაიცა რამდენჯერმე გაამეორებინეს.

ხალხი ბლომად დაესწრო, თუმცა, წვიმა რომ არა ყოფილიყო, უფრო მეტი იქნებოდა.

**ტ. ი—ძე.**

—

**ქართული თეატრი.** ხუთშაბათს ქართულმა დასმა წარმოადგინა ახალი პიესა, საინტერესო დრამა ჰეერმანსისა — „იმედი"-ს. „იმედი" გემია. იგი ზღვაში იღუპება და მათან ერთად იღუპება რამდენიმე ოჯახის კეთილ-დღეობა და ნუგეში. მთელი პიესის განმავლობაში მწარე, კულსაკლავი სურათები ერთი ერთმანეთს მოსდევს. თვალწინ გეშლება უნუგეშო, გაჭირვებული, მშიერ-მწყურვალე ცხოვრება ზღვის-პირად მდებარე ჩდილოეთის სოფლისა. სოფელი მხოლოდ ზღვით ირჩენს თავს. პური და სხვა მცენარე იქ არ მოდის. ხალხი მეთევზეობას მისდევს და ამით ალონღიალებს თავის გატანჯულ ცხოვრებას. დიაღ, ზღვა აძლევს ხალხს სარჩოს, მაგრამ ამ ზღვასაც სხვა დაჰპატრონებია—კლემენ ბოს, გემების პატრონი, თევზის მრეწველი, რომელსაც მთელი სოფელი თავის ყმად და მონად გაუხდია. სხვის ოფლითა და შრომით გამდიდრებულ ბოსთვის ალაგრაფერია წმინდა, გარდა თავის ჯიბისა. ამ ჯიბისთვის იგი [illegible] კაცის სი[illegible].

ბოს, სხვათა შორის, ერთი ძველისძველი გემი აქვს — „იმედი" [illegible] ზღვაში აღარ გაიშვება. ძირი სულ გამომპალი აქვს. დურგალი, რომელიც გემზე მუშაობდა, პირდაპირ ეუბნება ბოს, „იმედს" ნუ გაუშვებ, თორემ ჩაიძირებაო, მაგრამ ბოსი მაინც ჰგზავნის გემს იმ განზრახვით, რომ იგი დაიღუპება და დამზღვევ საზოგადოებისაგან დიდ-ძალ ფულს მიიღებს. ასეც ხდება. ერთ ღამეს ზღვა საშინლად აღელდება. ზღვასა და ხმელეთზე საშინელი ჯოჯოხეთი დატრიალდება. გემი იძირება და იმასთან ერთად წუთი-სოფელს ესალმება თხუთმეტამდე ვაჟკაცი.

გულ-შემზარავია ორი სურათი პიესაში—მესამე და მეოთხე მოქმედება. მესამეში ის ჯოჯოხეთური ღამეა დახატული, როდესაც გემი იღუპება. ცა გრგვინავს. ისმის საშინელი ჭექა-ქუხილი. ქარი გულ-საკლავად ზუზუნებს. პატარა ოთახში თავი მოუყრიათ იმათ ცოლებს, დედებს, დებს და დანიშნულებს, რომელნიც ამ ჯოჯოხეთურ ღამეში შუა ზღვაში არიან „იმედ"-ზე. საშინელ წინათ-გრძნობას განიცდიან თავ-მოყრილნი. ყველა ჰგრძნობს, რომ ამ ღამეს დიდი უბედურება უნდა მოხდეს, და ეს ქრუანტელსა ჰგვრის მაყურებელს. მეოთხე მოქმედებაში მოდის გემის დაღუპვის ამბავი. გულსაკლავი სურათია, როდესაც სოფლელნი გაიგებენ ამ ამბავს, ტირილი, სასოწარკვეთილი კვნესა აყრუებს ყველაფერს...

როგორც ზემოდ ვთქვით, პიესაში ტანჯვისა და წამების სურათები ერთმანეთს მოსდევს. ოჯახი არ არის სოფელში, რომლის ერთი წევრი მაინც ზღვას არ ემსხვერპლოს. არსებობისათვის ბრძოლაა, ბრძოლა მედგარი და დაუნდობელი, მით უფრო მწვავე და გულ-საკლავი, რომ იგი შედეგია დღევანდელ სოციალურ ურთი-ერთობისა, უსწორ-მასწორობისა. ზღვა კი არ არის დამნაშავე, ზღვას კი არ ეწირება ხალხი, არამედ იმ დაუნდობელ ძალას, რომლის წარმომადგენელიც სიმდიდრის პატრონი კლემენ ბოსია და რომლის საფუძველიც კერძო საკუთრებაა...

პიესა ჩვენმა მსახიობებმა რიგიანად წარმოადგინეს. რასაკვირველია, უკეთესის ძალებით, რომელნიც ჩვენს დასში მოიპოვებიან, და უკეთეს სასცენო მოწყობილებით, დრამა ბევრად უფრო კარგად ჩაივლიდა. მესამე მოქმედებაში ეხლაც შეეძლოთ მეტი შთაბეჭდილება მოეხდინათ. საჭირო იყო უფრო დიდი პაუზები, შემკრთალი ლაპარაკი, იდუმალი შიში საჭირო იყო ის, რასაც რუსები „ნასტროენიეს" ეძახიან. მეოთხე მოქმედებაში

# კავკასიის ერთობა!?

**2.**[*])

თუმცა ფიზიკური ერთობა რასისა თავის თავად არ არის ძლიერი ფაქტორი ხალხთა სოციალურ ერთობისა, არც ფიზიკური განსხვავებაა ამ ერთობის დიდად ხელის შემშლელი, ვინაიდან ერთ რომელსამე ერშიაც მრავალ რასის ნაწილებსა ვხედავთ, მრავალ ანთროპოლოგიურ ტიპებს, ერთ ეროვნულ ტიპად გადადუღებულთ, მაგრამ ამ ფიზიკურ ერთობასა და განსხვავებას მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგიერთ შემთხვევაში, სახელდობრ ისეთ შემთხვევაში, როდესაც განსაზღვრული ფიზიკური ტიპი უკვე ჩამოყალიბებულ სოციალურ სხეულის შემადგენელ ადამიანებს ახასიათებს. ასეთ შემთხვევაში რაც უფრო დიდი განსხვავებაა სოციალურ სხეულთა შორის, მით უფრო მეტი ყურადღება ექცევა ფიზიკურ ტიპსაც და ესეც ზედ ერთვის ერთობის ხელის შემშლელ პირობებსა.

კავკასია სწორედ ისეთი ქვეყანაა, სადაც სხვათა შორის ფიზიკურ ტიპის განსხვავებასაც აქვს თავისი მნიშვნელობა, და ამიტომ ორიოდე სიტყვით ჩვენც მოვიხსენიოთ იგი. ჯერ ერთი, ბილეთ უფრო ფართო ჯგუფები და შეადარეთ იგინი: მაგალითად, ქართველები და სომხები ერთის მხრითა და თათრები მეორეს მხრით. დიდ განსხვავებას ნახავთ, რასაკვირველია, ამ სემიტ-არიელთა და მონღოლთა შორის. ესთეტიური გრძნობა, ცოტა არ იყოს, შელახულია ხოლმე მათ ურთი-ერთის ხილვის დროს, და როდესაც დაუმატებთ ყველა სოციალურ მოსაზრებას ამ წმინდა რასიულ მოსაზრებასაც, ძლიერ საეჭვოა ამ ხალხთა ოდესმე შესაძლებელი ერთობაც, თუ რამე ისეთი ძალადობა არ მოხდა რომელიმე ჯგუფის მხრით, რომ ძალად აირიონ ერთმანეთში ეს სრულიად სხვა და სხვა ხალხები, ან თუ ძლიერ დიდი დრო არ გავიდა და სხვა სოციალური ცხოვრება არ დამყარდა საზოგადოებში. ეს კიდევ რა, უფრო ახლო მონათესავე ჯგუფებიც რომ აიღოთ, მაგალითად, სომხები და ქართველები, მათ შორისაც არის ეს განსხვავება წმინდა ტიპიური. ყოველ შემთხვევაში ურთი-ერთისადმი სიმპატიას ვერა ჰბადებს მათ შორის ეს **განსხვავება**, და რაც უნდა ჯენტლმენურად ვეპყრობოდეთ ერთმანეთს, მაინც ხშირად, ჩხუბის დროს, გულ-მოსულობის დროს ვიცით ხოლმე ამ ფიზიკურ განსაკუთრებულ თავისებურობის წამოყვედრება. ეს მოვლენა, წარმოიდგინეთ, მაშინაც-კი ემჩნევა, როდესაც ერთმანეთს ქართველთა და გაქართველებულ სომხებს ვადარებთ,—ეხლა შეადარეთ ქართველი ან კრუ-სომეხი, თუ გინდ ჩვენებური სომეხი და კრუ-სომეხი. თვით ამ მოძმეთა შორისაც-კი არის ანტიპატია „ცხვირ-პირის" თავისებურობით გამოწვეული. ამასთანავე დაწუნება და ანტიპატია არ არის გამოწვეული სილამაზითა ან ულამაზობით.—ერთი სიტყვით, შეადარეთ ერთი რასა მეორეს, ერთი ერი მეორეს, ერთი პატარა სოციალური ჯგუფი მეორეს, ერთი ერის სხვა და სხვა ნაწილები და ნახავთ, რომ ფიზიკურ ტიპის განსხვავებას ცოტაოდენი მნიშვნელობა მაინც აქვს.

რაც უფრო დიდია ანტიპატია, სოციალურ განსხვავების ნიადაგზე აღმოცენებული, განვიმეორებთ, მით უფრო ამწვავებს ამ ანტიპატიის ფიზიკური ტიპის განსხვავება. აგრეთვე რაც უფრო ნაკლებადაა განვითარებული საზოგადოებრივობა და ვიწროა კულტურული სფერო, რომელშიაც სხვა და სხვა ხალხი ტრიალებს, მით უფრო აქცევენ ყურადღებას ფიზიკურ ტიპსა. ევროპაშიაც კი ხშირად შეხვდებით ამ მოვლენას. ევროპიელისათვის აზიური სახე ანტიპატიის გამომწვევია, რაღა თქმა უნდა, ნეგრისა და ჩინელისა ხომ ბრაზის მომგვრელია. ინდოელის ტიპი კი ინგლისელს ისე ეჯავრება, რომ ვაგონშიაც არ კადრულობს მასთან მგზავრობას. ახლო ერთი ამ ნეგრებსა, ჩინელებსა, იაპონელებს და ინდოელებს ჰკითხეთ! იაპონელისათვის ევროპიელი ჰყარს, როგორც ბევრ ევროპიელისათვის ნეგრი, თათარი და ებრაელი. ეგ კიდევ რა: საფრანგეთში „სავოიელის ცხვირ-პირი" (La gueule Savoyarde) შეურაცხმყოფელია, რომ ვისმეს უთხრათ. ბევრ რუსს ხომ ციებ-ცხელებაც კი მოსდის, სომეხს ან ქართველს როცა დაინახავს, და მაინცა და მაინც არც ამ უკანასკნელების ესთეტიურ გრძნობას აკმაყოფილებს რუსის ტიპიური ცხვირი და თვალები...

ანთროპოლოგ ალექსანდრე ჯავახიშვილს ოც-და-ხუთზე მეტი უმთავრესი ანთროპოლოგიური თვისება აქვს აღნიშნული, რომელთაგანაც, მაგალითად, ქართველებს, განსაზღვრული რაოდენობა საერთო აქვთ სხვა და სხვა ხალხთან, განსაზღვრული—განსხვავებული; ზოგთან მეტი საერთო, ზოგთან მეტი განსხვავებული. ფრიად საინტერესოა მისი შედარებითი ტაბულები, რომლის გაზეთში გადმოტანა მეტად მიგვაჩნია. ყველა ნახავს, ვინც მოისურვებს, ამ ტაბულებს მის „Антропологія Грузіи»-ს პირველ ნაწილში, გვ. 237-240. ქართველებს რუსებთან (ტვერის გუბერნიის რუსებთან, 200 კაცის გაზომვის მიხედვით) 27 შესადარებელი ანთროპოლოგიური ნიშანი აქვთ: საერთო—17, განსხვავებული—10; პოლონელებთან (226 კაც. გაზ.)—20: საერ.—11, გან.—9; ყუბანის ყაზახებთან (41-61 კ. გაზ.)—22: საერთო—10, გან.—12; აღმოსავ. ქართველ-სომხებთან (105 კ. გაზ.)—22: საერთო—15, გან.—7; პოლონელ ებრაელებთან (100-200 კ. გაზ.)—28: საერთო—17, გან.—11; თეერგის ოლქის ოსებთან (36-200 კ. გაზ.)—18: საერთო—9, გან.—9; სპარსელებთან (46 კ. გაზ.)—25: საერთო—10, გან.—15; თორღოუთის მონღოლებთან (43-138 კაც. გან.)—26: საერთო—13, განსხ.—13; უდებთან (150-175 კ. გან.)—26: საერთო—17, განსხვ.—9; ყუმიყებთან (107 კ. გან-)—18: საერთო—15, განსხვ.—3; ყაბარდოლებთან (40 კ. გან.)—20: საერთ.—11, განსხვ.—9; ყარა-ყირღიზებთან (40—66 კ. გაზ.)—12: საერთ.—6, განსხვ. სართებთან (38 კ. გაზ.)—12: საერთო—8, განსხვ.—4. ადერბეიჯანელ თათრებთან—13: საერთო—4, განსხვ—9.

რასაკვირველია, ეს უკანასკნელი სიტყვა არ არის მეცნიერებისა, თუმცა ბ-ნმა ალექსანდრე ჯავახიშვილმა კავკასიის ხალხთა ყველა ანთროპოლოგის ცნობები შეკრიბა და შეიმუშავა და ასეთი შედეგი მიიღო. ქართველებს სხვა და სხვა ხალხთან ამ ტაბულებით მეტ-ნაკლები მსგავსება და განსხვავება აქვთ. აგრეთვე ამ ტაბულათა შედგენა რომელიმე სხვა ხალხთან შედარებით შეიძლება დახატო და შედეგი ისეთივე იქნება. ყოველთვის დარჩება მსგავსება და განსხვავება მეტისა თუ ნაკლების ხარისხისა, და რაც უნდა დიდი იყოს მსგავსება და ნაკლები განსხვავება, ეს უკანასკნელი მაინც თავის ბეჭედს ასვამს ამა თუ იმ ტიპსა და ჩვენც განსხვავება უფრო ნათლად წარმოგვიდგება ხოლმე თვალ წინ, ვიდრე მსგავსება.

მაგრამ ეს წმინდა ანთროპოლოგიური გარჩევა კიდევ ცოტა რამეს წარმოადგენს იმასთან შედარებით, რასაც ჩვენა ვხედავთ რომელიმე ტიპის თვით სახის გამომეტყველებაში. სპეციალური ბეჭედი აზის სახეზე ყოველ ხალხის საშუალო ტიპს, ეს ბეჭედი მისთვის მის ხანგრძლივ ისტორიას დაუსვამს, მის სჯულსა, ზნე-ჩვეულებას, ერთობ იმ **სოციალურ** ცხოვრებას, რომლის სფეროშიაც აღზრდილან მისი მრავალნი წინაპარნი. მას მათგან მიუღია მემკვიდრეობით ათასი თვისება, ამავე სფეროში თვითონვე დაბადებულა და აღზრდილა. მემკვიდრეობასა და შობას რომ თავი დავანებოთ, თვით ფაქტი განსაზღვრულ სოციალურ სფეროში ცხოვრებისა განსაზღვრულ გარეგან ბეჭედს ასვამს უცხო ტომის ინდივიდსაც: იგი რამოდენიმედ ემსგავსება იმ ტიპს, რომლის სოციალურ სფეროშიაც იგი დიდხანს სცხოვრობდა. სოციოლოგმა გუმპლოვიჩმა ამას დიდი ყურადღება მიაქცია. იგი ამბობს,—ეს რაღაც გამოურკვეველი ბეჭედია, რაღაც თავისებური გამომეტყველება აქვს ამა თუ იმ ტიპს განსაზღვრულ სოციალურ წრეში მცხოვრებს, გადასახლებულიც კი ერთ სოციალურ სფეროდან მეორეში ამ უკანასკნელის გავლენას განიცდის ისე მძლავრად, რომ ბოლოს და ბოლოს სახით, გამომეტყველებითაც კი ემსგავსება ამ სფეროს ტიპსაო.—და თუ გადასახლებულიც ასეთ გავლენას განიცდის გარეგნულადაც, როგორიღა უნდა იყოს თავისებურობა თვით ადგილობრივ მცხოვრებისა. თუ გარეგნულადაც მოსჩანს ეს თავისებურობა, —როგორიღა უნდა იყოს მისი სულიერი თავისებურობა, შექმნილი იმ სპეციალურ საზოგადოებრივ წრისაგან, რომელიც ჰქმნის ასეთს ტიპს, მაშასადამე, მთელს სოციალურ ერთეულს, შემდგარს ასეთს საშუალო თავისებურ ინდივიდთაგან, — მთელს სოციალურს ტიპს.

[*]) იხ. „დროება" N 240.

უფრო მეტი ტირილი და ყვირილი იყო, ვიდრე დარდისა და მწუხარების გამოხატვა. მაგრამ საერთოდ, ვამბობთ, პიესამ რიგიანად ჩაიარა.

გოს როლს ასრულებდა ბ-ნი არდალიშვილი. ახალგაზრდა მსახიობს როლი არ წაუხდენია. ზოგიერთ სცენაში კარგიც იყო. მაგრამ, ჩვენის აზრით, ძალიან ფიცხობდა, შფოთავდა. ვფიქრობთ, რომ ისეთ ადამიანს, როგორიც არის ეს წარმომადგენელი კაპიტალისა, მეტი სიდინჯე, დაკვირვება და დარბაისლობა მოუხდებოდა. ვგონებთ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ამ როლს კ. მესხი უკეთ შეასრულებდა.

მეორე მთავარი როლი, ჰეერტისა, დ. მგალობლიშვილისთვის მიენდოთ. ჯერეთ გამოუცდელია მგალობლიშვილი, სცენას არ არის შეჩვეული და, როგორც ასეთი, რა თქმა უნდა, ბევრი ნაკლი ექნებოდა, მაგრამ, ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ მგალობლიშვილისაგან კარგი მსახიობი დადგება. იშვიათი ხმა აქვს, ტკბილი, სამაგიეროდ, გამოთქმა არ უვარგა, მკაფიოდ ვერ ლაპარაკობს.

ტასო აბაშიძემ საუცხოვოდ ჩაატარა ის როლი პირველ ორ მოქმედებაში. ცოცხალი, მკვირცხლი და გულ-უბრყვილო სოფლის გოგო იყო. შემდეგ მოქმედებებშიაც არ წაუხდენია როლი, მაგრამ ამ მოქმედებებში ძლიერი დრამატიული სცენებია და ეს კი მსახიობის ნიჭს არ უდგება.

ძალიან მოგვეწონა ე. ჩერქეზიშვილი, განსაკუთრებით უკანასკნელ მოქმედებაში. ყოველ მის სიტყვასა და კვნესაში მწარე მწუხარება გაისმოდა შვილების დაკარგვის გამო.

ყურადღება მიიქცია დაკვირვებულის თამაშით გვარაძემ. დანარჩენნი ჯელს უწყობდნენ ანსამბლს.

სუსტი იყო მურვანიშვილი მან სულ გააფუჭა მეოთხე მოქმედება

უნდა შევნიშნოთ მატარაძეს: უმნიშვნელო როლსაც-კი ტრაგიკულ კილოს აძლევს. ვურჩევთ მსახიობს, მიეჩვიოს უბრალო, ჩვეულებრივ კილოზე ლაპარაკს. როლი-კი მან კარგად ჩაატარა.

## გრიგოლ რობაქიძის ლექციებზე

უცნაური თვისება აქვს სწორედ გრიგოლ რობაქიძის ლექციებს.

მსმენელი უგდებს ყურს ერთგულად, დაბეჯითებით. სცდილობს არც ერთი ლამაზათ ნასროლი სიტყვა არ ასცდეს იმის ყურს, არც ერთი წარმოთქმული აზრი არ გაუფრინდეს შეუმჩნევლად, თვალ-მოუკრავად. მისჩერებია სიხარბით, გატაცებით, აღტაცებით. ჰსურს კიდევ გაგრძელდეს უფრო მეტ ხანს. იგი არა ჰგრძნობს მობეზრებას, მოწყენილობას...

თავდება ლექცია. ყველა სცდილობს თავის აზრში შეადგინოს მოკლე კონსპექტი ნათქვამისა და გაგონილისა, მაგრამ, ვაი, გაოცებავ. გონება მარჯვედ აფათურებს ხელებს ამ უამრავად წარმოთქმულ აზრებში, ჰსურს დაიჭიროს, იხილოს თვალით, მაგრამ იგინი სადღაც მიჰქრიან, იკარგებიან, იფანტებიან, შორს, უგზო-უკვლოდ, შეუმჩნევლად.

მაგრამ, თუ გონება რჩება ესე სახტად, სამაგიეროდ გულში რჩება შთაბეჭდილება, შთაბეჭდილება ზოგჯერ ღრმა და კარგა ხანგრძლივიც. ბ-ნი რობაქიძის ლექციებზე მხოლოდ შთაბეჭდილებით შეიძლება ლაპარაკი. მეც თუ ვიტყვი რამეს, უმთავრესად ვიტყვი იმ შთაბეჭდილებათა მიხედვით, რომელნიც განმიცდია ამ ლექციების სმენის დროს.

ადამიანში ერთგვარი სულიერი საზომია, რომელიც რამდენიმედ ეწინააღმდეგება ლოღიკურ საზომს, რეალურ ღირებულებას: როცა ვინმე სიმაღლიდან ძირს ეშვება,—ეს ყოველთვის საწყენია და სამწუხარო. მაგრამ თუ ვინმე დაბლა მდგომი მაღლა მიიწევს,—ეს ყოველთვის საამოა, სასიხარულო. შეიძლება რეალური მნიშვნელობა, ღირებულობა ძირს დაშვებულისა ბევრით ისევ მაღლა იდგეს, ვიდრე იმისი, ვინც დაბლიდან მაღლა ესწრაფის, მაგრამ, მიუხედავად ამ ლოღიკურ, რეალურ უპირატესობისა, ჩვენ პირველს მაინც უკმაყოფილოდ შევსცქერით და მეორეს კი კმაყოფილებით. აქ მხოლოდ პროცესსა აქვს მნიშვნელობა თუ ვინ საით მიესწრაფის: სიმაღლიდან ძირს ეშვება, თუ ძირიდან მაღლა მიიწევს.

გრიგოლ რობაქიძის ხუთ ლექციიდან მე ის შთაბეჭდილება გამოვიტანე, რომ იგი უნდა განიცდიდეს პირველის პროცესს. იგი თითქოს სიმაღლიდან ძირს ექანება.

პირველად ვნახე, როცა აკაკის შეასხა ქებათა-ქება და დაუწნა დაფნის გვირგვინი მჭევრ-მეტყველობით. მართალია, ჯერეთ ბევრი ილაპარაკა ნომინალიზმზე, კონცეპტუალიზმზე, რეალურ მისტიციზმზე, მაგრამ ამაებიდან თითქმის არავის არაფერი არ შერჩენია. ერთი მისივე მახლობელი მეგობარი ხელ-გაშლილი გაიძახოდა: საუცხოვოდ ლაპარაკობს, მომწონს, მაგრამ არა მესმის-რა მაგის ფილოსოფიისაო.

მართლაც, მთელი მისი ლაპარაკი იყო მუსიკა და არა ფილოსოფია, და თუ მასში მაინც იყო ფილოსოფიის მცირე ნასახი, იგიც თითქმის სულ ჩაიღრჩო, ჩაიბნა ამ მუსიკაში. მან მარგალიტებად დააწყებინა ჩხრიალი ნაკადს, აღელვა, ააშფოთა ზღვა გიჟოცნებასავით და დაამშვიდა მძინარე ყრმასავით. ხან ნისლი მოჰფინა ცას, კიდით-კიდემდე შავი ღრუბლები გადაფარა, ხან კი მოსწმინდა, მოაკრიალა, აასხივოსნა ვარსკვლავებიც, მთვარეც გაჰბადრა. გადაგვიშალა თვალუწვდენი მინდორნი-ველი, მალალი მთები, ნაზად და წყნარად დააწყებინა ნიავსაც ქროლვა, თითქოს იმას ათხრობინებდა იდუმალის ხმით რაღაც შორეულ იდუმალებს. გვიჩვენა ზეალმაფრენი დიონისი, თვალწარმტაცი აპოლონი, მოუწოდა მუზათ, ხელში მისცა ჩანგი და თავის ხმაზე ათქმევინა ჰანგები. წინ დაგვიყენა აჩრდილი შოთასი, მოგონება ილიასი და სხვა მრავალთა. ხელში მოგვცა მსოფლიო თავის სიდიადით, წარმავალობით, არარაობით. ალაპარაკა, აკვნესა, ააღერა, აგალობა, რასაც კი შეუძლიან ამ ქვეყნად ხმის ამოღება.

ყველაფერი ეს საამო იყო ტკბილსასმენი, ტკბილ-საცქერი, ზეალმაფრენიც.

ყურს ვუგდებდით ხარბად, შევსცქეროდით აღტაცებით, მაგრამ ყველა აქედან გვესმოდა მხოლოდ მუსიკა, ტკბილი ჰანგები, ვხედავდით მხოლოდ წარმტაც სურათებს, ფერადოვნებას და სილამაზეს, მაგრამ რას მოგვითხრობდა ან ნაკადულის ჩხრიალი, ან ნიავის ქროლვა, ან ზღვისა ღელვა, ეს არ გვესმოდა. არ გვესმოდა, მაგრამ მაინც კმაყოფილნი ვიყავით. და ისე ვიყავით კმაყოფილნი, რომ არავისაც აზრად არ მოსვლია რამე ნაკლი გამოენახა ამ ლექციაში.

მაშინ ვიგრძენ, რომ გონებასაც ჰქონია თავისებური მუსიკა: მას შესძლებია ისმინოს და ისიც აღფრთოვანებით არა აზრი, არამედ აზრთა სილამაზე; მას შეუძლიან გაიგოს არა სიტყვანი, აზრის გამომთქმელნი, არამედ სიტყვანი, ჰანგის მთხრობელნი, და ამაში ადამიანი განიცდის ნამდვილ ესთეტიურ სიამოვნებას, როგორც საამო სიმფონიით, ტკბილი სიმღერით, რომელთა შემდეგაც რჩება შთაბეჭდილება და არა აზრი.

მაგრამ თუ ეს შთაბეჭდილებაც საამოა, ძლიერი, ზეალმაფრენი, მაშინ ის თვით აზრზე ნაკლები რითია?

ასეთი იყო რობაქიძის ლექცია აკაკიზე.

შემდეგ წაიკითხა ვაჟა-ფშაველაზე.

ვისაც აკაკიზე არ უნახავს იგი, იმას ძალიან მოეწონებოდა და მოიხიბლებოდა კიდეც. მაგრამ ვინც ნახა აკაკიზე, იმას გასაოცარი აღარაფერი არ გაუგონია. მან ბევრი სილამაზე, ბევრი სურათი გაიმეორა, რაც დაგვანახვა, გაგვაგონა აკაკიზე. მსმენელნიც ვერ მიეგებნენ ისეთის ფრთებ-შესხმით, როგორც აკაკიზე, რადგან ერთხელ ნასმენი ნაცნობი არის, და ნაცნობი-კი აღარ გვაოცებს.

მაშინ მისი ენა-წყლიანობა უფრო სუსტად მოგვითხრობდა იმავე ტკბილ ჰანგებს, რაც გავიგეთ აკაკიზე, და უფრო მკრთალად გვიხატავდა მაშინდელ ლამაზ, წარმტაც სურათებს. მაგრამ იგი მაინც ისე ნიჭიერად იმეორებდა უკვე ნათქვამ ლამაზ ფრაზებს, რომ ხალხი მაინც კმაყოფილი იყო, მაინც აღტაცებული. თუმცა ისე კი აღარა, როგორც აკაკიზე.

შემდეგი ლექცია იყო იბსენზე.

აქ უკვე ერთი რამ შევამჩნიეთ ბ-ნ რობაქიძეს: რამდენადაც ის შედარებით ნაკლებ სილამაზეს ხმარობს თავის ლექციებში, იმდენად უფრო ნათლად გამოსჭვივის მისი აზრი და შეხედულობაც და რამდენადაც უფრო ნაკლებ სილამაზეს ხმარობს, იმდენად უფრო ნაკლებ არის მომხიბვლელი იგი. ამიტომ იბსენზე იგი აღარ იყო ის, რაც იყო აკაკიზე, რაც იყო ვაჟაზე. მაგრამ მაინც კიდევ დასტოვა საამო შთაბეჭდილება, თუმცა რამდენიმე თვის შემდეგ ეს საამო შთაბეჭდილება, სამწუხაროდ, შესუსტდა, რადგან ერთ უცნაურობას შევხვდი.

ამ ზაფხულს გამოვიდა ოტტო ვეინინგერის უკანასკნელი წიგნი „უკანასკნელი სიტყვანი". იქ პირველსავე წერილად მოთავსებულია ვეინინგერის ფართო ნარკვევი იბსენის „პერგიუნტზე" და წაკითხვისათანავე უცნაური მსგავსება აღმოჩნდა მასა და ბ-ნ რობაქიძის ლექციის შორის. რაცა სთქვა ბ-ნმა რობაქიძემ „პერ-გიუნტზე", იგივე **თითქმის** სავსებით არის ნათქვამი ვეინინგერის წერილში, თუმცა უფრო ფართოდ და უფრო ღრმად. ეჭვი არ არის, ბ-ნ რობაქიძეს, ვიდრე იგი წაიკითხავდა თავის ლექციას, წაკითხული ექნებოდა ვეინინგერის თხზულებაც, რადგან მას სხვა ლექციებშიაც დიდი ლტოლვილება ემჩნევა ვეინინგერისადმი.

**ლევ. მეტრეველი.**

(დასასრული იქნება)

## სასამართლო

**კატორგიდან გამოქცევა.**

1906 წელს 15 სექტემბერს სასხედროსაველე სასამართლოს განუხილავს საქმე გორის მაზრის სოფ. ხოვლეს მცხოვრების გიორგი ხუციშვილისა, რომელსაც ჰბრალდებოდა ზილბერგის მოკვლის განზრახვა. გადაუწყვეტიათ ოცი წლის კატორგა. ეს განაჩენი სისრულეში მოუყვანიათ. ხუციშვილი გაუგზავნიათ ციმბირში და მოუთავსებიათ ალექსანდრეს საპატიმროში. 1907 წ. 23 ივლისს ხუციშვილი გაუგზავნიათ სამუშაოდ ამურის საფოსტო გზაზე. 1909 წელს მაისში მაძიებელ პოლიციას მიუღია ცნობა, რომ ხუციშვილი გამოიქცა კატორღიდან და იმალება ტფილისში, სოფ. ფაშიანთკარის მცხოვრების დავით ბოსიკაშვილის ბინაზეო. ბოსიკაშვილის ბინაზე გ. ხუციშვილი მთვრალი, მძინარე უნახავთ. მას აღმოსჩენია პასპორტი ნიკოლოზ სანიკიძის სახელზე. გ. ხუციშვილი და დ. ბოსიკაშვილი პასუხის გებაში მიუციათ. პირველი კატორგიდან გამოქცევისთვის და სხვის პასპორტით ცხოვრებისთვის, მეორე — გამოქცეულის დამალვისთვის. წინასწარ გამოძიების დროს ხუციშვილს პასპორტის შესახებ უთქვამს: ხარბინში 15 მანეთად ვიყიდეო. ბოსიკაშვილს განუცხადებია, მე ვიცოდი, რომ გამოქცეული იყო; ამის მეტად ჩემთან არა ყოფილა და ის იყო, ვაპირებდი გამოცხადებას, რომ პოლიცია მოვიდაო.

ეს საქმე ტფ. ოლქის სასამართლომ 30 ოქტომბერს განიხილა. სასამართლომ გ. ხუციშვილს, იმის გარდა, რომ ოცი წელიწადი ჰქონდა გადაწყვეტილი, კიდევ მიუსაჯა 15 წლის კატორგა, სულ 35 წელიწადი. ხოლო დ. ბოსიკაშვილი გაამართლა.

**ჯარში აგიტაცია.**

30 ოქტომბერს ტფ. სამოსამართლო პალატამ, წოდებათა წარმომადგენლების სონაწილეობით, ხალხის დაუსწრებლად, განიხილა საქმე ყოფილ უნტერ-ოფიცრის, 75 წლის მოხუცის სიმონ გილისა, რომელსაც ჰბრალდებოდა ჯარში აგიტაცია.

პალატამ ს. გილი დამნაშავედ იცნო და მიუსაჯა ერთი წლით ციხე. ამასთან დაადგინა, აღძრას შუამდგომლობა ხელმწიფე იმპერატორის წინაშე, რომ სასჯელი სამ თვემდე შეუმცირდეს.

**არალეგალური ლიტერატურა.**

ტფ. სამოსამართლო პალატამ გუშინ განიხილა საქმე „კოლხიდის" მაღაზიის პატრონის ის. კვიცარიძისა, რომელსაც ჰბრალდებოდა არალეგალურ ლიტერატურის გავრცელება

პალატამ კვიცარიძეს ერთი წლით ციხე გადაუწყვიტა.

## ჩინეთის განახლება

ამ თვის პირველ რიცხვებში ჩინეთში გაიხსნა საოლქო სეიმები. საოლქო სეიმებით იწყება ჩინეთის შინაურ მართვა-გამგეობის განახლება. ნაცვლად დღევანდელ თვით-მპყრობელობისა ჩინეთის ხალხი სცდილობს წარმომადგენლობითი წეს-წყობილების დამყარებას. მთავრობამ აღუთქვა ხალხს, რომ ამ რვა წლის შემდეგ, სახელდობრ 1917 წელში ჩინეთში მოწვეული იქნება პირველი პარლამენტი. თითონ მართვა-გამგეობის შენობის განახლება ძირიდან იწყება. მომავალ წლიდან საოლქო სეიმებს მიეცემათ უფლება თავიანთ ოლქების ბიუჯეტი განიხილონ. 1911 წლიდან ახალი სასამართლოს დებულება და ახალი სასამართლო დაწესებულებანი იქნება შემოღებული. ჩინეთის მთავრობა იაპონიის მაგალითსა ჰბაძავს. იაპონიამაც, სანამ ცენტრალურ პარლამენტს შემოიღებდა, რვა წლით ადრე საოლქო სეიმები დააწესა. ჩინეთში ოც-დახუთამდე სეიმი დაწესდა, აქედან სამი მანჯურიაში. საარჩევნო კანონი ისეთია, რომ ყოველი ასი მცხოვრები ერთს ამომრჩეველს ირჩევს, ხოლო ათასი ამომრჩეველი ირჩევს სეიმის ერთს დეპუტატს.

## ბალკანეთის ამბები

**სამხედრო კავშირი საბერძნეთში.**

სამხედრო კავშირს განსაკუთრებული კომისია აურჩევია და დაუვალებია თვალყური ადევნოს მთავრობას, თუ რამდენად ასრულებს ის დაპირებულ რეფორმათა განხორციელებას. ამ[illegible] კავშირი დირექტორიას უწოდებს.

**ავსტრო-[illegible] პროტესტი.**

ამას წინად ჩვენ ვწერდით, რომ იზვოლსკიმ სამაგიერო გადაუხადა ერენტალს, რომელმაც ბოსნია ჰერცოგოვინა და ნოვობაზარის სანჯაფი შეუერთა ავსტრიას. უცხოეთის გაზეთებიც და დეპეშათა სააგენტოც გვატყობინებდა, რომ ავსტრიამ ეს სახელმწიფოთა სურვილის წინააღმდეგ ჩაიდინა. ეხლა ავსტრო-ჰუნგრეთის ოფიციალური და ოფიციოზური გაზეთები გადაჭრით აცხადებენ, რომ ერენტალს იზვოლსკის სურვილის წინააღმდეგ არ მოუხდენია ანექსია. იზვოლსკის თანხმობა გამოუცხადებია, სამაგიეროთ მოუთხოვია მხოლოდ, რომ რუსეთს უფლება მიეცეს სამხედრო გემები ატაროს დარდანელის სრუტეშიო. ბარონ ერენტალს იზვოლსკის წინადადება არ მიუღია და მხოლოდ, როგორც ვიცით, ბოსნია ჰერცოგოვინა შეუერთებია. რადგანაც პეტ. დეპეშათა სააგენტოს ეს ამბავი ნამდვილად არ გაუვრცელებია, ავსტრო-ჰუნგრეთის გაზეთები მთავრობის სახელით არღვევენ ამ ცნობას.

**ოსმალეთის საომარი სამზადისი.**

მეოთხე კორპუსი დიდ მზადებაშია. საბერძნეთის საზღვარზე სადარაჯო ადგილები დაიჭირა ჯარმა. ამზადებენ სურსათსა და ცხენების საჭმელს. ასეთივე მზადებაა ეპიროში. სამხედრო ესკადრას ებრძანა დარდანელის სრუტესაკენ გაემართოს. ფიქრობენ, რომ ესკადრა ეგეის ზღვაში იქნება.

**საბერძნეთის ამბები.**

საბერძნეთის მთავრობა გულ-მოდგინედ შეუდგა ტიპალდოსის მიერ მომხდარ აჯანყების საქმის გამოძიებას. რუსეთის გაზეთების სიტყვით, საგამომძიებლო მთავრობას გამოურკვევია, რომ ტიპალდოსს, აჯანყების მოხდენამდე მოუთხოვნია ხორბასისათვის ზოგიერთ ჟურნალისტისა და პოლიტიკოსის დასჯა. კიდევ გამორკვეულა, რომ ტიპალდოსის შეთქმულების სულის-ჩამდგმელი ტალისომა და მისი პარტია ყოფილა.

**კრიტეს საკითხი.**

რუსეთის ერთი გაზეთის წარმომადგენელს კრიტეს საკითხის შესახებ ულაპარაკნია ერთ დიპლომატთან, რომელსაც უთქვამს, რომ ოსმალე-

---

კავკასიაში ასეთი სოციალური ტიპები არსებობენ, მაგრამ სოციალურ ტიპთა არსებობა კიდევ არაფერია, —არსებობენ თვით შედარებით შეურეველი ეთნიური ტიპებიცა, რომელნიც ჟამთა ვითარებაში არასოდეს ისე არ შერეულან, რომ ერთი ხალხი, ერთი ერი დაეარსებინათ. აბა გადაჰხედეთ ევროპას, ევროპის ერებს, რა დენი ეთნიური ელემენტია თვითოეულ ერში. საფრანგეთი პირდაპირ ნარევია კელტებისა, რომაელებისა, იბერიელებისა, გერმანელებისა, მაგრამ ამ ნარევმა შეჰქმნა ერთი ტიპი—ფრანგის სოციალური ტიპი. ინგლისი კიდევ მეტად არის ნარევი, ეთნიურ ელემენტთაგან შემდგარი. აგრეთვეა იტალია, ესპანია. თვით გერმანიაშიაც კი წმინდა რასა არ არის დაცული: იქ გერმანელი, კელტი, სლავიანი და ფინნია არეული. თვითოეული კავკასიელი ერი, რასაკვირველია, ალბად, ოდესღაც უცხო ეთნიურ ელემენტებს შეისვამდა. რეკლიუ ამბობს, დღეს სომეხთა სისხლში მრავლად არის ებრაელისა და ქურთის სისხლიო; სპარსელში კიდევ ბევრია თათრის სისხლი, მაგრამ კავკასიაში ისეთი აღრევა ეთნიურ ელემენტთა და ერებად გადადუღება თავის დღეში არ მომხდარა, როგორიც მოხდა ევროპაში. ჩემის ფიქრით, ორი უმთავრესი ფაქტის არ არსებობამ გამოიწვია ასეთი მოვლენა კავკასიაში წინააღმდეგ ევროპისა, სადაც ეს ორი ფაქტი მოხდა: რომის იმპერიის მსგავსი არასოდეს არა ყოფილა რა კავკასიაში. ევროპაში რომის იმპერიის ბატონობამ აღრია, შეაერთა და გაარომაელა მთელი სამხრეთი და დასავლეთი ევროპა. კავკასიაში კი კავკასიის იმპერიაც არა ყოფილა, კავკასიის ხალხები ისე არ აღრეულან ერთმანეთში, რომ ერთი ხანგრძლივი სახელმწიფო დაეარსებინათ და შემდეგ ერთ კავკასიელ ერად გადადუღებულიყვნენ. იყო ხოლმე ბატონობა უცხოთა, იყო ხან-მოკლე ქართველი ძლიერი სამეფო, დავით-აღმაშენებლისა და თამარისა, რომელთაც თითქმის მთელი კავკასია ეპყრათ; შირვან-დერბენდი ჰყავდა დავითს საზღვრად, „თავის ხმლით შემოხაზული", უძველეს დროიდანაც დიდი იყო ქართველთა გავლენა კავკასიის სხვა-და-სხვა ხალხზე, მაგალითად, ლეკებზე, მაგრამ ქართველობამ კავკასია ვერ გარდაქმნა საქართველოდ; მუდმივი შემოსევაც, სხვათა შორის, ამ საქმეს ხელს უშლიდა. მეორე ფაქტი ის არის, რომ ხალხთა დიდ გადასახლებას ისეთი შედეგები არ მოუტანია კავკასიაში, როგორც ევროპაში. იქ გერმანელებმა **განაახლეს** ძველი საზოგადოება რომისა და გალლო-რომაელთა, შექმნეს ახალი დიდი ერები, ანუ მისცეს მათ თავიანთი ელფერი. აქ-კი უცხო ხალხთა შემოსევა გრიგალივით გადმოუვლიდა ხოლმე კავკასიას, ცეცხლსა და მახვილს აძლევდა ყოველისფერს, ახალს ვერაფერსა ჰქმნიდა, და ბოლოს იმით გათავდა, რომ უმთავრესი ხალხები შემოსეულებს არ შერევიან,—ქართველი ქართველად დარჩა, სომეხი სომხად; მთიულებში ისლამი შეიტანეს, საქართველოს მესამედი გაამაჰმადიანეს და დიდი კულტურა მოუსპეს, ისიც აგერ—ახლა-ხან. კავკასიის აღმოსავლეთი აივსო თათრებითა, რომელთაც ვერაფერი ვერა შეჰქმნეს რა ერთობ კავკასიის ერთობისათვის, პირ-იქით, კიდევ უფრო არივ-დარიეს აქაურობა. ამით გათავდა მათი „მსვლელობა". ბოლოს რუსები მოვიდნენ, და როგორც უკვე ვთქვით, ჩრდილოეთი კავკასია-კი გააყაზახეს, მაგრამ დიდი საკითხია, „გააერთიანებენ" თუ არა მთელს კავკასიას, თუმც ასეთი „ერთობა" მათ სახელმწიფო მიზანს შეადგენს.

დღეს კავკასიაში მრავალი ეთნიური ჯგუფი არსებობს, რომელნიც არც-კი ფიქრობენ ერთმანეთში აღრევასა და რომელთაც თანდათან ეღვიძებათ თავიანთ სოციალურ ინდივიდუალობის შეგნება. თუ ყველა მათგანი არ წარმოადგენს შეურიგებელ ელემენტებს, უმთავრესნი მაინც ასეთნი არიან, და ერთობა მათ შორის პირდაპირ წარმოუდგენელია. სოლიდარობის განმტკიცებაც-კი ფრიად ძნელია, ფრიად რთული მოსაწყობი, არა თუ ერთობა და ერთ ერად გარდაქმნა, რომ თვითოეულმა სთქვას გულწრფელად, ისე, რომ არა სტყუოდეს თავის-თავის წინაშე და უცხოსაც არ ატყუებდეს,—**მე „კავკასიელი" ვარო!**

ეთნიური ერთობა კავკასიელთა არ არსებობს არა თუ იმ აზრით, რომ სისხლით არიან სხვა-და-სხვანი, არამედ იმ მხრითაც, რომ კულტურული და ისტორიული საერთო ტრადიცები მათ არა აქვთ. არასოდეს არ არსებულა „კავკასიის ისტორია", იგი მხოლოდ ხელოვნურად დაიწერება, როგორც შეერთება კავკასიის სხვა-და-სხვა ხალხის ისტორიებისა. არასოდეს არ არსებულა „კავკასიის საერთო კულტურა", იგიც სხვა-და-სხვა კულტურათა ურთი-ერთზე გავლენით თუ დახასიათდება, თორემ კულტურის რომელი ისტორიკოსი დასწერს „კავკასიის კულტურის" ორგანიულ განვითარების ისტორიას.

საზოგადოდ, მთელი კულტურული და პოლიტიკური ისტორია კავკასიის ხალხთა ერთ კალაპოტში არასოდეს არ ჩამდგარა, რომ დროთა ვითარებაში შეუჩერებლად ედინა, როგორც ერთ დიდ მდინარეს ცივილიზაციის სხვა მდინარეთა შორის. თვითოეულ ხალხს ჰქონდა თავისი ორიგინალური ისტორია **დღემდე**. იყო ხოლმე ურთი-ერთზე გავლენა, პოლიტიკური ცხოვრებათა მიმდინარეობის შეხვედრა, შეტაკება, კავშირი საერთო მტერთა წინააღმდეგ, მაგრამ ერთობა—არასოდეს. თვით რელიგიური ერთობაც არა ყოფილა კავკასიაში ისეთი, როგორიც ევროპაში პაპობამ შეჰქმნა და თავისი ბეჭედი დაასვა მთელს ევროპიულს პოლიტიკურსა და ერთობ სოციალურ ცხოვრებასა. ჩვენში კი საეკლესიო ერთობა თვით ქართველ—სომეხთა შორისაც კი მოისპო მეექვსე საუკუნეში. კათალიკოზ აბრაამის ბრძანება თავის სამწყსოსადმი საგულისხმიეროა: „ქართველების შესახებ ჩვენ დავადგინეთო,—ამბობდა იგი:— ამიერიდან გეკრძალებათ მათთან იქონიოთ ერთობა ლოცვასა, ჰამ-სმასა, მეგობრობასა და შვილების კვებაში. აღარ უნდა მიხვიდეთ მოსალოცავად მცხეთის სახელოვან ჯვარისა, არც მანგლისის ჯვარისა. აღარც უნდა მიიღოთ იგინი ჩვენს ეკლესიაში მათთან ცოლქმრობას განეშორეთ. მხოლოდ იყიდეთ და მიჰყიდეთ მათ, ვითარცა ურიათაო".—საერთოდ საქართველოს ისტორიას თავისი განსაკუთრებული ხასიათი აქვს, აგრეთვე სომხეთის ისტორიას. სომხობაც და ქართველობაც „ისტორიული ინდივიდუალობანი" იყვნენ, „სულიერნი ოჯახნი", როგორც რენანი ამბობს თვითეულ ერის შესახებ. ისტორია ამ ორი ხალხისა სულ სხვა და სხვა იყო, როგორც დროში, ისე სივრცეში. ბედი მათის ისტორიისა სულ სხვა და სხვა იყო აგრეთვე, ხან და ხან წინააღმდეგიც: როცა სომხეთი ძლიერი იყო, მაშინ საქართველო იწყებდა პოლიტიკურ არსებობასა, როცა სომხეთის ისტორია მიიწურა და მეთერთმეტე საუკუნეში დაიშალა და დაინგრა სრულიად და უკანასკნელად ეროვნულ-პოლიტიკური ცხოვრება სომხეთისა, საქართველოში მაშინ იკრიბებოდა ეროვნული ძალები, დავით აღმაშენებელი ჰქმნიდა ქართულ მძლავრ იმპერიას. მეთორმეტე საუკუნეში კი საქართველო სრულიად გააფურჩქნა და შეჰქმნა თვისი „ოქროს ხანა".

კავკასიის მთიულთა ისტორია ჯერ არც კი არის გამორკვეული. ეს კიდევ არაფერი,—მათ არც კი აქვთ თავიანთი ისტორია, მწერლობაც არა ჰქონიათ, ეროვნულ—პოლიტიკური ცხოვრებაც არ განუვითარებიათ, რომ მასთან ერთად საკმაო ეროვნული თავით-შეგნება განვითარებულიყო და მათ თვით შემგნებ სოციალურ ორგანიზმებს **თვითონვე** დაეწეროსთ თავიანთი თავ-გადასავალი, გამოვლილნი ტანჯვანი და სიხარულნი, შემოქმედება და დიდება თავიანთ ნიჭისა და შრომისა. ისინი დღეს ისტორიულ მეცნიერების ობიექტები არიან, და არა შემომქმედნი თავიანთ ისტორიისა.

თათრების ისტორია მარტო კავკასიის ისტორიულ ციკლს არ ეკუთვნის. მათაც არ შეუქნიათ არასდროს ერთი ერი კავკასიის ტერრიტორიაზე და არ გამოსულან მთლიან და თვით — შემგნებ ინდივიდად სხვა ისტორიულ ერთა პირისპირ. მცირე აზიაში და ბალკანის ნახევარ-კუნძულზე გადატყორცნილმა მათმა მონათესავე თურქებმა ევროპისა და წინა-აზიაში შეჰქმნეს ახალი, თუმცა ბევრის მტრობით უცნაური ხანა ისტორიისა; სპარსეთში ადერბეიჯანელები სპარსეთის ისტორიის სფეროში შევიდნენ, კავკასიაში დარჩენილ თათართა ისტორია ამ სიტყვის ნამდვილ მნიშვნელობით კი რამდენიმე სახალის მკრთალ ისტორიით ამოიწურება. შეიძლება აგრეთვე ეს ისტორია ახლა იწყებოდეს, წარსული კი იგი არავითარ ორგანიულ ხასიათს არ იჩენს და არც არავითარ ორგანიულ კავშირს წარმოადგენს სხვა ისტორიულ ერთა ისტორიასთან.

ამგვარად, ერთობა ისტორიისა, არც ისტორიულ განვითარების თანასწორი ხარისხიც არ არის კავკასიელთა შორის, ისტორიულ განვითარების ხარისხის თანასწორობა კი სხვა ნამდვილი სოციალურ მსგავსებასთან, ერთად ერთი უპირველეს საშუალებათაგანია მათ შორის მტკიცე კავშირის გამტკიცებისათვის.

**ბლუარსდიელი.**

(შემდეგი იქნება)

თი აუცილებლად მოითხოვს კრიტეს საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტას. ვინაიდან კრიტეს საკითხს იმისთვისაც ერთობ დიდი მნიშვნელობა აქვს. ოსმალეთის მთავრობა თითონა სცდილობს კრიტეს საკითხის გამოსარკვევად კონფერენცია იქმნას მოწვეული. ადვილი შესაძლებელია ამ კონფერენციის მოწვევაზე სახელმწიფოებმა თანხმობა გამოსთქვან, რადგანაც სახელმწიფოების დიდი უმრავლესობა კრიტეს საკითხს თანაგრძნობით უყურებს. იზვოლსკისა და ტიტონის ჰქონდათ მოლაპარაკება კონფერენციაზე და ამ დიპლომატის სიტყვით თანაგრძნობით შეხვედრიან ოსმალეთის წინადადებას. ოსმალეთს უნდა კრიტეს საკითხი სახელმწიფოების წარმომადგენლებს გადასცეს გადასაწყვეტად, მაგრამ ამავე დროს ის გადაჭრით თხოულობს, რომ ამ კონფერენციას საბერძნეთის წარმომადგენელი არ დაესწროს. ოსმალეთი კრიტეს ისეთსავე ავტონომიას მიანიჭებს, როგორიც კუნძულ სამოსსა აქვს. დიპლომატი უარჰყოფს იმ ხმას, რომელიც ამას წინად გავრცელეს, კრიტეს საკითხზე, ვითომ ოსმალეთი თანახმა იყოს ისეთი ავტონომია მიანიჭოს კრიტეს, რომელიც მინიჭებული აქვს აღმოსავლეთ რუმელიას. კრიტეს საკითხის განახლებამ შეაძლება ახალი რამ წარმოშობოს, რომელიც დიდ მითქმა-მოთქმას გამოიწვევს, მაგრამ საკითხი მაინც მშვიდობიანად გადაწყდება, ამის თავდებია რაკონიდჟიში რუსეთისა და იტალიის შეთანხმება.

**დინასტიის მდგომარეობა საბერძნეთში.** ლონდონის გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ საბერძნეთის დედა ქალაქ ათინიდან, რომ მეფეს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ტახტიდან არ გადადგეს; არც იმ შემთხვევაში, თუ მდგომარეობა უფრო გაუარესდება ვიდრე დღეს არის. ტახტიდან გადადგომა გამოიწვევდა უცხო სახელმწიფოების ჩარევას საბერძნეთის შინაურ საქმეებში. აქამდის ჯარი აშკარად აცხადებდა უკმაყოფილებას სამეფო სახლის წინააღმდეგ, მაგრამ აჯანყების დროს, როდესაც გამოირკვა, რომ ჯარის აფიცრებიდან ყველა აჯანყების მომხრე არ იყო, მეფის მდგომარეობა ცოტა გამაგრდა. თითონ პრემიერ მინისტრმა განაცხადა, რომ აჯანყების დროს ჯარის დიდმა ნაწილმა მეფისადმი ერთგულება დაამტკიცაო. ამის გამო მეფეს აზრადა აქვს ცოტაოდენი რამ დაუთმოს სამხედრო კავშირს. მეფეს განზრახვა აქვს სალაპარაკოდ მიიწვიოს პოლკოვნიკი ზორბასი, რომლის მეოხებით ტახტი შეურყევლად დარჩა ტიპალდოსის აჯანყების დროს. ფიქრობენ, რომ ზორბასთან ლაპარაკის შემდეგ სამხედრო კავშირი შესცვლის თავის დამოკიდებულებას ეხლანდელ მეფისა და მის მემკვიდრის შესახებ.

მაგრამ უცხოეთის გაზეთებს საბერძნეთიდან სხვაგვარ ცნობებსაც ატყობინებენ. სამხედრო კავშირი ეხლაც დიდს ძალას წარმოადგენს, ის აშკარად ერევა მართვა-გამგეობის საქმეებში, პალატაში ჯარი არის დაბინავებული, თითონ კავშირის წარმომადგენელნი მორიგეობენ პალატის სხდომების დროს. 2 ნოემბრის (ახალი სტილი) სხდომაზე დეპუტატთა ერთი ჯგუფის სახელით რალლიმ შეკითხვა შეიტანა. ამ დღეს მოედანი ჯარით იყო სავსე, პალატაშიც ჩვეულებრივზე მეტი ჯარი იდგა. შეკითხვის ავტორს მეგობრულად ურჩიეს თავისი შეკითხვა უკანვე წაეღო. სამხედრო კავშირმა კიდეც რომ გამოაცხადოს თავი გაუქმებულად ეს მხოლოდ უბრალო ფორმალობა იქნებოდა. ნამდვილად საბერძნეთში კავშირი ისეთ ძალად გადაიქცა, რომ იმისი გავლენა ყველა საქმეებზე ეხლაც უნდა იყოს.

გაზეთ „Temps“-ის ათინელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ მთავრობამ ჰუმანიური მოსაზრებით არ გადასცა ტიპალდოსის საქმის გარჩევა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს. მთავრობის მოსაზრება უფრო იურიდიული ხასიათისა იყო. ეხლანდელ მდგომარეობაში შეუძლებელი იყო სამხედრო სასამართლო შეედგინა.

## სპარსეთის ამბები

ბაქოს გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ ლენქორანიდან. სპარსეთის მოსამზღვრე ლენქორანისა და ჯევათის მაზრებში რამდენიმე შეიარაღებული ავაზაკ-შახსევანთა ბრბო გაჩნდა და დათარეშობს. შახსევნები შეიარაღებულნი არიან ახალი სამხაზიანი (რუსეთის ნიმუშის) თოფებით. სულ ხუთასამდე ავაზაკი დათარეშობს და ექვს ბრბოდ განიყოფებია.

ასტარადანაც ასეთივე ცნობებს იტყობინებიან. შახსევნებს განზრახვა აქვთ სპარსეთის ასტარას დაეცნენ. თეირანში ოთხმოცი კაცისაგან შემდგარი რევოლუციონერთა რაზმი გაიგზავნა. ვაჭრობა შეჩერდა ასტარა—არდებილის გზაზე შესწყდა. ყოველნაირი მისვლა-მოსვლა.

## რუსეთი

**◆ საერო განათლების მინისტრის განკარგულება.** საერო განათლების მინისტრმა ყველა სამოსწავლო ოლქის მზრუნველებისთვის ცირკულიარი დაუგზავნია ცირკულიარში ნათქვამია, თვალ-ყური ადევნეთ, რომ საშუალო სასწავლებლის მოსწავლეებმა მონაწილეობა არ მიიღონ სხვა და სხვა წარმოდგენების გამართვასა და თამაშში. და ნამეტან სასტიკი ყურადღება მიაქციეთ მოსწავლე-ქალებს და ყოველი ღონისძიება მიიღეთ, რომ სცენაზე არ გამოვიდნენო.

**◆ ახალი კანონ-პროექტი.** კადეტებს შეუმუშავებიათ და სახელმწიფო სათათბიროში წარუდგენიათ კანონ-პროექტი, რომლითაც ქალებს უფლება მიეცემათ ნაფიც ვექილთა წოდებაში ჩაეწერნენ.

**◆ სტოლიპინის ნალაპარაკევი.** გაზეთ „ტაიმსის“ პეტერბურგელი კორესპონდენტი შემდეგს ატყობინებს გაზეთს: კარგა ხანი ველაპარაკე პრემიერ-მინისტრ სტოლიპინს. ლაპარაკის დროს, სხვათა შორის, შევეხეთ პოლონეთს. პრემიერმა მითხრა: ადგილობრივ მეურნეობის საბჭოს სხდომაზე უკვე გამოვსთქვი ჩემი აზრი პოლონეთის შესახებ. პოლონეთს მივცემთ საერობო და საქალაქო თვითმართველობას. რაც შეეხება პოლონეთის ავტონომიას, ამაზედ იმას ვიტყვი, რომ პოლონეთს ამდენს ვერ ვენდობით. ამას გარდა პოლონეთს გამოვყოფთ ხოლმს, რადგან ამას სახელმწიფოს ინტერესები თხოულობენ. რუსეთის საერთო მდგომარეობაზედ ბევრსა სწერენ, გვისაყვედურებენ, სისხლით მორწყეთ რუსეთიო. თქვენ თვითონაც იცით, რომ უკვე ბრძანება გამოიცა, სიკვდილით დასჯა შეამცირეთო. საუბედუროდ, მე არ ვიცი ისეთი კონსტიტუციონური საშუალება, რომლითაც რევოლიუციასთან გამკლავება შეიძლებოდეს. მართალია, მთავრობის ადგილობრივი წარმომადგენელნი აჭარბებენ, ხშირად უკანონოდ იქცევიან, მაგრამ მე თქვენ გეკითხებით, მთავრობისთვის სარგებლობა მოაქვს ასეთ უკანონო მოქმედებას? პოლიტიკური რეფორმები? მართალია ჩვენ გადავდევით ეთ რეფორმების განხორციელება, რადგან რა სარგებლობის მოტანა შეუძლიან პიროვნების ხელშეკრულების დაკანონებას, როდესაც ადგილობრივ სასამართლოების რეფორმა არ მოგვიხდენია და სხვა.

**◆ გაჭირვება.** თუ გაჭირვება სადამდის მიიყვანს კაცს და შემდეგ მაგალითიდანაც სჩანს: პეტერბურგში ერთ ქალს, მარინა მუხნინას მოუწამლია თავისი რვა თვის შვილი. საქმე ამნაირად ყოფილა: მუხნინას მოსამსახურის ადგილი უქებნია, მაგრამ ვისთვისაც მიუმართავს, უარი უთქვამთ, შვილიანს ვერ მივიღებთო. მაშინ მუხნინას გადაუწყვეტია შვილის მოკვლა, რაიც სისრულეში მოუყვანია. მუხნინა დაუპატიმრებიათ.

**◆ სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტიათ: ხარკოვში 1, უფაში 2, პეტერბურგში 1, ხარკოვში 2, რიგაში 1, რეველში 1 კაცისთვის; სიკვდილით დაუსჯიათ: რიგაში 1, უფაში 3, პეტერბურგში 1, ჩერნიგოვში 1, კიევში 2, ვარშავაში 3 კაცი.

## უცხოეთი

**რწმენის თავისუფლება საფრანგეთის ჯარში.**

თუ როგორ პატივსა სცემენ და როგორაა განმტკიცებული საფრანგეთში რწმენის თავისუფლება იქიდანაცა სჩანს რომ აფიცრებს თავისუფლად შეუძლიანთ ამა თუ იმ რწმენის მაღიარებელნი იყვნენ.

საფრანგეთის ჯარში აფიცრობა უმთავრესად შეძლებულ ბურჟუაზიულ წრიდან გამოდის, ამიტომაც უმრავლესობა კათოლიკეთა სარწმუნოების მიმდევარია და ამავე დროს რეაქციონური მიმართულებისაა. მთავრობა ამისთანა აფიცრებს ნებას აძლევდა კათოლიკეთა კრებებს დასწრებოდნენ, მხოლოდ არსებულ წესწყობილების საწინააღმდეგო მოძრაობაში და გამოსვლებში მოქცეულიყვნენ თანახმად არსებული კანონისა. საფრანგეთში საკმაოდ მოიძებნებიან ისეთი აფიცრებიც, რომლებიც მემარცხენე ბანაკს ეკუთვნიან. სამხედრო მინისტრის გენერალ ანდრეს დროს აფიცრებს ნება ჰქონდათ რესპუბლიკანურ პარტიათა თანამოაზრეებთან უთანხმოების დროს გამოსულიყვნენ. წინად აფიცრებს აკრძალული ჰქონდათ ფრანკ-მასონთა და თავისუფალ მოაზრეთა ორგანიზაციებში მიეღოთ მონაწილეობა. ამისთანა აფიცრებს ბოიკოტს უცხადებდნენ ან სრულიადაც იუხოვდნენ სამსახურიდან. სამხედრო მინისტრების ბერტისა და პიკარის დროსაც უფრო მომწიფდა ის აზრი, რომ აფიცრებსაც შეუძლიანთ თავისუფალი რწმენა იქონიონ და ამა თუ იმ ბანაკს მიეკუთნონ. აფიცრები მოსწონთა და თავისუფალ მოაზროვნეთა კრებებში იღებდნენ მონაწილეობას. მაგრამ რადიკალიზმის იქით არ გასცილებიან. სამხედრო მთავრობა აქამდე ძნელად წარმოიდგენდა სამხედრო სამსახურის კაცს —სოციალისტს. ამას წინად ერთმა აფიცერმა აშკარად გამოაცხადა თავი სოციალისტად და დაიწყო თავის აზრების გავრცელება. სამხედრო მინისტრმა პიკარმა პასუხის გებაში მისცა ეს აფიცერი. მთელი საქმე შესდგა და შესაძლებელი იყო საქმე გამწვავებულიყო. ეს საქმე იყო კაპიტან ჟერარისა. პიკარს შემდეგ სამხედრო მინისტრად დადგა ბრიუნი, რომელმაც მინისტრ-პრეზიდენტ ბრიანთან მოილაპარაკა და ორივე იმ აზრისა იყო, რომ რწმენის თავისუფლების პრინციპი არ უნდა იქმნას დარღვეული, თუნდაც ეს შეეხებოდეს ჯარში მყოფ სოციალისტებს.

პიკარმა დისციპლინარულ სამართალში მისცა ჟერარი და იმედი ჰქონდა, რომ დისციპლინარული სასამართლო ჟერარს გაამტყუნებდა და სამსახურიდან დაითხოვდა. საქმე თავიდანვე მეტად გართულდა. ჟერარს უთანხმოება მოუხდა ერთ—აფიცერთან, რომელმაც მას შეაგინა იმისთვის, რომ ჟერარი მეტად მეგობრულად და ძმურად ეპყრობოდა ჯარის კაცებს. ჟერარმა გინებაზე სილის გარტყმით გასცა პასუხი. აფიცერმა დუელში გაიწვია ჟერარი, მაგრამ დუელი დროებით გადაიდო ჟერარის შეცრად ავად გახდომის გამო. კლერიკალ აფიცრებმა სააფიცრო საზოგადოებაშიც არ მოასვენეს სოციალისტი აფიცერი. სამხედრო მთავრობამ განაცხადა, რომ ჟერარი შეკუსაზეა შეშლილი და პსიხიატრ ავადმყოფთა შორის მოათავსა იგი. ეგონათ ჟერარი პროტესტის გამოცხადების დროს წრეს გადასცილდებოდა, უფრიელს დაიწყებდა და მით საბუთი მეცემოდათ აშკარად შეკუსაზე შეშლილად ეღიარებინათ. მაგრამ ჟერარმა თავი შეიკავა და აცნობა ყველაფერი თავის პარლამენტის მეგობრებს, რომლებმაც სამხედრო მთავრობას უთხრეს, თუ ჟერარს თავს არ დაანებებთ შეკითხვას შევიტანთ პარლამენტშიო. ჟერარი განთავისუფლეს. დუელიც მოხდა იმასა და აფიცერს შორის და ჟერარმა თავის მოწინააღმდეგე ხმლით დასჭრა.

რადესაც პიკარის ნაცვლად მინისტრად ბრიუნი დადგა, ჟერარის საქმემ სხვა მიმართულება მიიღო. სამინისტრომ გამოიძია ჟერარის საქმე და გამოარკვია რომ ჟერარი როგორც აფიცერი საუკეთესო ყოფილა, მისი ჯარის კაცები მისით ყოფილან მოხიბლულნი, რომ მეგობრული დამოკიდებულება ჯარის კაცებთან სახელმწიფოს ღალატი არა ყოფილა. ჟერარის მტრებმა ბრალი დასდეს კიდევ იმაში, რომ ჟერარი რევოლიუციონურ გაზეთებში თანამშრომლობს, ფსევდონიმად ხმარობს „მაიორ როსელს“, ეს მაიორი იყო, რომ მხურვალე მონაწილეობას იღებდა კომუნის დროს და რომელიც ვერსალის მთავრობის მიერ იქმნა დახვრეტილიო. სამინისტრომ ყველაფერში უდანაშაულოდ იცნო ჟერარი და გაამართლა. რწმენის თავისუფლების პრინციპმა გაიმარჯვა, ჯარშიც კი შეიძლება ესა თუ ის პოლიტიკურ რწმენა ჰქონდეს კაცს. ჟერარი სოციალისტი იყო და ახალმა სამხედრო მინისტრმა გამართლების გარდა სამსახურშიც დააწინაურა და უკეთესი თანამდებობაზე დანიშნა.

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ნებ მოგვეცით თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ ქ-ნ ანასტასია წერეთლისას, რომელმაც ჟურნალ „ჯეჯილის“ ორი წლის ნომრები შემოსწირა ტფ. სახელმ. უნივერსიტეტის ქართულ სექციას. აგრეთვე ვაცხადებთ, რომ ქართულმა სექციამ განიზრახა სადამოს სასწავლებლებში მოსწავლე მუშებისათვის ადვილ წასაკითხ-გასაგებ ჟურნალების და წიგნების შეძენა, ბიბლიოთეკის შედგენა. ამ აზრით განსაკუთრებული კომისიაც აირჩია სექციამ და იმედია წიგნებისა და ჟურნალების გამომცემელი საზოგადოებები ჯგუფები და აგრეთვე კერძო პირებიც დახმარებას აღმოუჩენენ სექციას, მას განზრახვის განხორციელებას ხელს შეუწყობენ და შეძლების დაგვარად შემოწირავენ ადვილ-წასაკითხ-გასაგებ წიგნებს და ჟურნალებს. შემოწირულების გამოგზავნა შეიძლება შემდეგის ადრესით: სამეურნეო საზოგადოების სახლი, სახელმწ. უნივერსიტეტის ქართულ სექციას.

ვთხოვ სხვა გაზეთებს გადაბეჭდონ.

ტფ. სახ. უნივ. ქართულ სექციის მონდობილობით **ოსა.**

—

რადგან თქვენს პატივცემულ გაზეთში მოთავსებულმა წერილმა „ვინ მტრობს დედა ენას“ საკომერციო სასწავლებლის ყველა ქართველი მასწავლებელი, ძალიან აღელვა და წერილის ავტორად და თავიანთ შეურაცხ-მყოფელად მე მთვლიან, ამიტომ ვაცხადებ, რომ დასახელებულის წერილის ავტორი მე არა ვარ.

**იუსტინე ირაკლის ძე აბულაძე.** *)

—

ბ-ნო რედაქტორო! გაზ. „ივერიის“ უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილი იყო, სხვათა შორის, მოთხრობა ი. მ—ისა „ის მე მოვკალი“. ეს მოთხრობა გადმოგვცა ჩვენ ავტორის ნაცნობმა ი. დ—იამ დასაბეჭდად. შემთხვევით მოთხრობის დაბეჭდვა დაგვიანდა. ახლა ავტორი აყვედრის გვიცხადებს, ჩემ ნება-დაურთველად რად დაბეჭდეო, „ივერიაში“ თანამშრომლობა არ მინდოდაო. ვწუხვართ, რომ ასე მოგვიხდა ამ მოთხრობის დაბეჭდვა, ვაცხადებთ-კი, რომ მას არას გზით არ დავბეჭდავდით, ავტორის ვინაობა რომ გვცოდნოდა.

**„ივერიის“ რედაქცია.**

—

გთხოვთ დაბეჭდოთ სია იმ პირთა, რომელთაც შემოიტანეს თავიანთი წვლილი აკაკი წერეთლის ფონდის გასაძლიერებლად, (ლეჩხუმის მაზრიდან): ნიკოლოზ ჩარკვიანი 3 მ., თავადი ნიკო ასათიანი 3 მ., აზ. გრიგოლი ახვლედიანი 2 მ., მელიტონ მანდარია 5 მ., მიხეილი ბათიაშვილი 30 კ., ნესტორ ჯაჭვაძე 1 მ., იასონ ლიპარტელიანი 3 მ., ალექსანდრე საჩინოს ძე ყრუაშვილი 3 მ., კიმოთე გვიშიანი 3 მ., ისლამ ხეცურიანი 1 მ., ბესარიონ მდივანი 50 კ., იასონ კენჭაძე 3 მ., გიგო ხეცურიანი 1 მ., სამსონ მდივანი 1 მ., გიორგი ყრუაშვილი 20 კ., დიმიტრი ჩარკვიანი 1 მ., ილარიონ კოპალიანი 1 მ., ანტონ ჩიქოვანი 5 მ., ალი გარდაფხაძე 5 მ., ბლაღ. მღვდელი იოანე მარგიანი 3 მ. არსენ მეავანაძე 1 მ., ალექსანდრე ჩიქოვანი 1 მ., ნიკოლოზ კუპრაშვილი 1 მ., სანდრო ლორცულიანი 50 კ., სერგო ხეცურიანი 30 კ., მათე ასლანიკაშვილი 1 მ., იოსებ დავითულიანი 1 მ., ელია ხონელაშვილი 20 კ., გრიგოლ გასვიანი 50 კ., მოსე ბათიაშვილი 1 მ., მარდახ ხონელაშვილი 20 კ., ალექსი ხვადაგიანი 50 კ., მილორდი ჩიქოვანი 50 კ., მიხეილ მარდახიაშვილი 20 კ., მახეილ ქაბუკიანი 1 მ., როფოზ ჩიქოვანი 1 მ., ლარვენტი ნუქიფი 2 მ., სამსონ საჩინოს ძე ასათიანი 50 კ., თებრონია ახვლედიანის ასული 1 მ., ერასტო ნემსაძე 50 კ. აქსენტი მდივანი 50 კ., სარდიონ რუსიშვილი 50 კ., ილარიონ ახვლედიანი 50 კ., გრიგოლ ახვლედიანი 50 კ. თადეოზ ნემსაძე 50 კ. სულ 62 მ. 30 კ.

*) რედაქცია ამოწმებს, რომ წერილი ი. ი. აბულაძეს არ ეკუთვნის. აქვე არ შეგვიძლიან არ გამოვთქვათ ჩვენი გაოცება იმის გამო, რომ საკომერციო სასწავლებლის ქართველი მასწავლებელნი „აღელვებულან“ და „შეურაცხყოფილად“ ჩაუთვლიათ თავიანთი თავი. ხსენებულ წერილში საკომერციო სასწავლებელზე არა იყო რა ნათქვამი. დაბეჭდილი იყო მხოლოდ: „ზოგიერთის ადგილობრივი ახალი ტიპის საშუალო სასწავლებლის დაარსების დროს“... თუ წერილში აღნიშნული ამბები თავიანთ თავზე მიიღეს, მაშინ წერილის ავტორი მართალი ყოფილა და ამ შემთხვევაში უმჯობესი იქნებოდა, აღელვების ნაცვლად, საქმის გამოკეთებას შესდგომოდნენ. ყოველ შემთხვევაში შეგვეძლოთ პასუხი გამოგვეზავნათ.

რედაქცია.

## განცხადებანი


**7 მან. და 25 კაპ.**
**ორი კასტიუმი**
**ქალისა და კაცისა**

ორი ზამთრის ან გაზაფხულის საკასტიუმო ნაჭერი, კაცისა და ქალისა, ეგზავნება მსურველს ფოსტით 7 მან. 25 კაპეიკად. გაგზავნა უფასოდ (ციმბირში ემატება 85 კ.). გინდაც არ მოეწონოს, ფაბრიკა უკან უბრუნებს ფულს. ნაჭერი კაცის კასტიუმისთვის $4^1/_4$ არშ. ინგლისური ტრიკო, მკვიდრივე მატყლისა, ორ-არშინიან განისა, ახალი ნახატით და 8 არშინიანი ტრიკო „არკადია“ მატყლისა, მოდის—ქალის ტანისამოსისათვის. ორივე ნაჭერი ყოველ გვარ ფერისა. ფასდადებით გაგზავნის დროს ემატება 16 კ. (ფოსტ. ტაქსა) სურვილისამებრ იმავე ფასით შეიძლება გაიგზავნოს ორივე კასტიუმი კაცის ან ქალისა. ადრესი Фабриканту М. Берштейну, гор. Лодзь. И

(Л. Метцль и Ко N 67939) (3—6—2)

■ შემთხვევით ■
**იყიდება**
**ფიანინო** ორ-სართულიანი სახლი, მატერინისკის ქ. № 10, ყოფილი ქაშვეთის ეკლესიის ახლო. იკითხეთ იქვე. (1—1)

**პირველი კერძო სამკურნალო**
**დოქტ. ნავასარდიანისა**
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა
**დილით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ყ. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა. სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—$1^1/_2$ ს. შინაგან და საბავშვო.
**ნ. ვ. ალბრეხტი:** 12—$1^1/_4$ ს. შინ. და ბავშვ.
**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.

**საღამოთი:**

ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—$6^1/_2$ საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. ფ. მარცაშვილი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედ. დ. ექიმი ბ. ა. ნავასარდიანი.
(წ.—1—206)


## „დროების“ კანტორისაგან.

წლიურ ხელის მომწერთ, ვისაც სრულად არა აქვს ფული შემოტანილი, გაზეთი აღარ გაეგზავნებათ. ● ყოველ თვის პირველ რიცხვიდან გაზეთი აღარ ეგზავნება ვისაც დამდეგ თვის ხვედრი ფული შემოტანილი არა აქვს. ● ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა. ● გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე საჭიროა ხელის მომწერმა კანტორას აცნობოს, რომ მომავლისთვის ყურადღება მიექცეს.


**კოსმეტიკის და პარფიუმერიის ახალი რამეები**
**დუხეჲი ნიცცის ყვავილებისა**
შამპუ, კრემები, საპონი, პუდრა, ოდეკალონი, ლოსიონი.
**სანადერმა ნიცცაში**
**იყიდება ყველგან.**
განყოფილება რუსეთისთვის; Москва, Никольская, д. Греческаго Монастыря.
(Л. Метцль и К. N 141702) (5—6.—2)



**ვერცხლის საათი.**
**მხოლოდ 4 მ. 95 კ.; 2 ცალი კი 9 მ. 50 კ.**
ვიყიდეთ რა შვეიცარიაში, ქარხნის დაკეტვის გამო, დიდძალი ვერცხლის საათები, ამიტომ შეძლება გვაქვს სხვა ფირმებთან შედარებით ნახევარ ფასად გავყიდოთ. რათა ჰყრით ფულს შავი საათებისთვის, როდესაც 4 მ. და 95 კ. შეგიძლიანთ ჩვენგან შეიძინოთ ვერცხლის საათი 84 დამღიანი, რომელიც ათი წლის შემდეგაც კი თავის ფასს არა ჰკარგავს: **ვერცხლი ყოველთვის ფულია.** ვგზავნი საუკეთესო საათს, თხელს, **ახალ მოდისას,** ღერძები ქვებზე, ლითონის ცილინდრით, 40 საათში ერთხელ იმართება „რემონტუარის“ სათავით; საზურავი მშვენივრად მოჭედილი, კარგად გასინჯული 6 წლის თავდებობით—ფას დადებით და უბეოდ; გადაგზანა 4 ცალამდის 40 კ. (ციმბირში 75 კ.). **მოდის ძეწკვები** 84 დამღიან ვერცხლისა მნიანი 2 მ. 50 კ., 3 მ. 50 კ., 5 მ.
ადრესი: Т-ВО „ПАТЕНТЪ“, ВАРШАВА, Св. КРЕСТА 48 ОТДѢЛ. 94.
ეს ადრესი გთხოვთ ამოსჭრათ და მაგრა დააკრათ კონვერტზე.
(Метцль и К-о. N 64165). (1—5.—1)




**ალექსანდრე როსტომის ძე თაბაგარის**
**მაღაზია ქ. ქუთაისში.**

ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.

საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული **„სისტემა ზინგერ“-ზე.** საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით, ქარგვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.

აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბ-ს გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერ-მოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.

**ადრესი:** А. Р. Табагари, г. Кутаисъ.
(100—6—86)